140
1976
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

4

1976



# საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, იმ დარგების წილის გადიდება, რომლებიც განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესს. ასეთი დარგებია მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, გათვალისწინებულია აგრეთვე პროგრესულ მანქანათმოწყობილობათა ასორტიმენტის და წარმოების გაფართოება, პროდუქციის სისტემატური განახლება და სხვ.

კომუნისტური პარტია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს აიხსნება იმ როლით, რომელსაც სახალხო მეურნეობის ეს დარგი ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. **სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოების მოცულობა ახალ ხუთწლედში უნდა გაიზარდოს 14-17 პროცენტით.** სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ საკვანძო საკითხად კვლავ რჩება მარცვლეულის წარმოების ზრდა. დასახულია ამოცანა, რომ **მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი გავზარდოთ 215-220 მილიონ ტონამდე. 9 მილიონ ტონამდე უნდა გაიზარდოს ხამი ბამბის წარმოება, შაქრის ჭარხლის საშუალო წლიური წარმოება კი — 95-98 მილიონ ტონამდე. მნიშვნელოვნად გაიზრდება ხილის, ყურძნის, ბოსტნეულის, ჩაის ფოთლის, კენკრის, მზესუმზირის წარმოება.** სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად მას მიაწვდიან დიდი რაოდენობით მანქანა-იარაღებს, მინერალურ სასუქებს და მცენარეთა დაცვის საშუალებებს; ამოშრობილი იქნება 4,7 მილიონი ჰექტარი მიწა, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 4 მილიონი ჰექტარი სარწყავი მიწა და სხვ.

ახალ ხუთწლედში დიდი მიჯნებია დასახული მეცხოველეობაში. **ხორცის საშუალო წლიური წა-**

გაგრძელება. იხ. № 3.



ᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ 15-15,6 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ, ᲠᲫᲘᲡᲐ — 94-96 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ, ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡᲐ — 58-61 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲪᲐᲚᲐᲛᲓᲔ. დასახული ამოცანების შესასრულებლად გაფართოვდება ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ფართო მასშტაბით იწარმოებს მეცხოველეობის კომპლექსების, მექანიზებული ფერმებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა.

ახალ ხუთწლედში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების საფუძველზე. ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲬᲕᲓᲘᲡ 1900 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲡ, 1350 ᲐᲗᲐᲡ ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲡ, 538 ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲐᲡᲐᲚᲔᲑ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲡ, 100 ᲐᲗᲐᲡ ᲔᲥᲡᲙᲐᲕᲐᲢᲝᲠᲡ, 23 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ და სხვ.

თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებებზე — მექანიზაციაზე, ქიმიზაციაზე, მელიორაციაზე და სხვ. ამის გამო სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარების აუცილებელ წანამძღვრად გვევლინება მრეწველობის იმ დარგების სწრაფი ზრდა, რომლებიც აწარმოებენ წარმოების საშუალებებს სოფლის მეურნეობისათვის.

ხუთწლეულის მანძილზე გათვალისწინებულია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი ზრდა. განმტკიცდება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ტრანსპორტის მუშაობის ხარისხი და სატრანსპორტო კავშირი ქვეყნის ეკონომიურ რაიონებს შორის.

კაპიტალური მშენებლობის მნიშვნელოვანი ამოცანაა რაციონალურად გამოვიყენოთ კაპიტალური დაბანდებები, რომელიც ხუთწლეულის მანძილზე 24-26 პროცენტით უნდა გაიზარდოს, უზრუნველვყოთ ძირითადი ფონდების შემდგომი გადიდება და ხარისხობრივი სრულყოფა, ავამოქმედოთ და ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრეები.

ხუთწლედის განმავლობაში მკვეთრად გაუმჯობესდება საწარმოო ძალების განლაგება. მნიშვნელოვნად ამაღლდება ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ეკონომიური პოტენციალი და როლი სამრეწველო პროდუქციის საერთო-საკავშირო წარმოებაში. ახალი ხუთწლედი უზრუნველყოფს ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და ეკონომიური რაიონის ეკონომიკის ახალ აღმავლობას.

ხუთწლედის მთავარი ამოცანის შესასრულებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, რომლის მიღწევის ერთ-ერთი მძლავრი სამეურნეო ბერკეტი არის წარმოების ინტენსიფიკაცია. „პრობლემის არსი ის არის, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯების თითოეულ ერთეულზე მივაღწიოთ წარმოების მოცულობისა და ეროვნული შემოსავლის არსებით ზრდას“. აქედან გამომდინარეობს, რომ მეათე ხუთწლედი უნდა ვაქციოთ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად. პარტია მოგვიწოდებს, რომ ყოველმა შრომითმა კოლექტივმა და მშრომელმა ადამიანმა უნდა იბრძოლოს უმცირესი დანახარჯებით უდიდესი შედეგების მისაღწევად.

პარტიის მიერ დასახული პროგრამის რეალიზაციისათვის გადამწყ-



# პიონერი

**4**

**აპრილი**

**1976**

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა


ვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას. მის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ მეათე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით 90 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთელი მატება და რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მოცულობის მატების სულ ცოტა 95 პროცენტი მიღწეულ იქნება შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს განივთებული შრომის ეკონომია. პარტიის XXV ყრილობის მიერ დამტკიცებულ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას. ამოცანა ეხება მოქმედი ძირითადი საწარმოო ფონდების ყოველ ერთეულზე რაც შეიძლება მეტი რაოდენობით პროდუქციის წარმოებას. ამისათვის მეათე ხუთწლედში უნდა გაიზარდოს მანქანა-მოწყობილობების მუშაობის ცვლიანობა, შევამციროთ მანქანებისა და აგრეგატების მოცდენები, გავაუმჯობესოთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია და სხვ.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო დაჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გადამწყვეტი პირობა. უფრო განვითარდება და გაღრმავდება თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან.

მეათე ხუთწლედი უნდა გადავაქციოთ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად. პარტიის ამ მითითების განხორციელება საბჭოთა ხალხს შეუძლია, რადგან ის ემყარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე დონეს. განვითარებული სოციალისტური ქვეყნის უპირატესობა საშუალებას გვაძლევს მჭიდროდ დავაკავშიროთ მშრომელთა და მთელი საზოგადოების ინტერესები. სწორედ ამაში გამოიხატება პარტიისა და ხალხის ერთიანობა, რომელიც იწვევს კაცობრიობის ისტორიაში არნახულ შრომით ენთუზიაზმს.

ასეთია, მოკლედ, პერსპექტივები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო ძლიერსა და აყვავებულს გახდის.


**ბონდო ქავთარია**

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.


მხატვარი
შადიმან
ჭავჭავაძე





ელგუჯა მერაბიშვილი

მოთხრობა

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

ქვებს წამოვუარე, მაგრამ არ დამანებეს. ჯერ ტარიელამ დამიჭირა, მერე მიხო მასწავლებელიც მოვიდა და დამტუქსა, რა ამბავში ხარო.

— გაბოროტებულია და ხალხს გესლავს, გულთან არ უნდა მიიტანო, — მეუბნებოდა ტარიელა, როცა შინისაკენ წავედით — როგორიც არი, ისეთ ადგილზეც მიდის, „შტრაფნოიში“ გააგზავნიან...

ხმა არ გამიცია. გული ამომიდუღდა, ლამის ხმამაღლა ავტირდი. კიდევ კარგი, სახლში არავინ დამხვდა...

საღამოს კოლმეურნეობიდან გვიან დაბრუნდნენ თინადა დედა. დედა მაშინვე ვახშმის მზადებას შეუდგა, თინამ ძროხა მოწველა, მერე სახლში შემოვიდა, იქაურობა მიალაგა, ღია კართან გაჩერდა და ჩაბნელებულ სივრცეს დაუწყო ცქერა.

ტახტზე წამოვწექი, მუთაქა თავქვეშ ამოვიდე და დაღლილი მხრები შევასვენე. გუტას ღრენა მედგა ისევ ყურებში და შიშისაგან მაჟრჟოლებდა.

„ნუთუ მართალია?.. ნუთუ თინას მართლა შენახული აქვს ნიკა ძიას დაღუპვის ცნობა?..“

თინამ თავზე შემოიდო ბეჭდიანი ხელი, თმა შეისწორა. ლამპის შუქზე უბზინავდა ბეჭედი. მოთეთრო კაბა ეცვა და თითქოს გედს ჰგავდა, შერგოლილ გედს. ეს გავიფიქრე თუ არა, მაშინვე თვალწინ დამიდგა ნიავით მოშრიალე ლელიანი და ტბის თავზე ცალად მფრინავი გედის სევდიანი კრუალი...

ნუთუ თინასაც ეწერა დაცალება?

გარეთ უკვე ჩამუქდა ბინდი. თინამ თავი დაანება გარეთ ცქერას, კარი მიხურა.

ალბათ ტბის თავზეც აქამდე ისმოდა სევდიანი კრუალი, დაფრენდა და ეძახდა დაცალებული გედი თავის გულის სწორს, სანამ მუქი ბინდი არ დაეშვა ჭალიანზე, მერე კი სადღაც ლაქაშებში ჩაეშვა და იქ გაინაბა. ალბათ იჯდა ლელიანში ფიქრით დაღლილი, თვლემდა და ეზმანებოდა დაკარგული მეგობარი, რომელსაც ხვალაც დაუწყებდა ძებნას, ზეგაც, მაგრამ ვერასოდეს ველარ იპოვიდა.

სკოლის ზარი საგანგაშოდ რეკდა. ეს ჩვენი შეკრების სიგნალი იყო. სულ ოციოდე წუთის წინ გამოგვიშვა სახლებში ჩვენმა სამხედრო ხელმძღვანელმა ლევან ხუციევმა და... შეკრების სიგნალიც უკან მოგვაჟოლა.

დედა და თინა სამუშაოდ იყვნენ მინდორში. დაკეტილი კარის წინ ვიდექი და აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი; გასაღებს ვერსად მივაგენი...

გასაღების კიდევ ერთი სამალავი სათონეში მეგულებოდა, ახლა იქით გავიქეცი. ფანჯრის თავზე, კედლის ფოსოში ვიპოვე და გამობრუნება დავაპირე, რომ ლურჯი ხაზებით აჭრელებულმა ქაშანურის სარძევემ მიიპყრო ჩემი ყურადღება, უფრო სწორად — ტირიფის ტოტისაგან გამოჭრილმა ჭდემ, სარძევეში რომ იყო ჩაყუდებული, ტოტები გამოესხა და მზეს შეხაროდა...

შინ შევედი, ერთი ხელი ლოგინი ბოხჩად გამოვკარი, აბგაში საგზალი, ფინჯანი, კოვზი ჩავიდე და ეზოში გავედი. ბარგი უკვე ჭიშკარს გარეთ მქონდა. კარის დაკეტვა კი არ დამანება აკვიატებულმა ფიქრმა. გავიქეცი, სათონიდან ნახარები ჭდე გამოვკარბენინე და რუს პირთან ჩავფალი...

სკოლის ეზოში უკვე ბლომად ბიჭებს მოეყარათ თავი, დანარჩენებიც თანდათან გვემატებოდნენ. მერვე და მეცხრეკლასდამთავრებულები მოვგროვდით, მეათეკლასელები კი აღარსად იყვნენ — ისინი მოქმედ არმიაში გაიწვიეს გამოცდების დამთავრებისთანავე.

— ოცეულო, სდექ! — დაიძახა სამხედრო ხელმძღვანელმა.

მხარიმხარ ვიდექით ოცდათორმეტი ბიჭი. უმეტესობას ბაზარზე ნაყიდი სამხედრო შარვლები და გიმნასტურები გვეცვა და პილოტურებიც გვეხურა, სასწავლო თოფებიც რომ ავიღეთ ხელში, მართლაც ჯარის ნაწილს დავემგვანეთ.

— ახალორბეთის სამხედრო ბანაკამდე ცხრა კილომეტრია, ეს მანძილი ბარგაკიდებულებმა საათნახევარში უნდა გავიაროთ. ეს იქნება ჩვენი პირველი საბრძოლო ლაშქრობა.

დავიძარით, მწყობრი ნაბიჯით გავედით სკოლის ეზოდან, მერე კორდზე დაყრილი ჩვენი ბოღჩები დავითითოეთ და შორ გზას გავუდექით.

სამხედრო ბანაკი მრისხანე ყაზარმად წარმოგვედგინა, სადაც, ჩვენი ფიქრით, მკაცრი მეთაურები გველოდნენ, ორი საათის შემდეგ კი სკოლაში ამოვყავით თავი, სწორედ იმ სკოლაში, რომლის ეზოში წინა წელს ფეხბურთი ვეთამაშეთ იქაურ ბიჭებს. აივანზე ჩია ტანის სამხედრო იდგა. სამხედრო ხელმძღვანელმა ბარგი დაგვაწყობინა, მერე სამწყობრო ნაბიჯით დაგვძრა და ბანაკის შტაბის წინ გაგვაჩერა.

— ამხანაგო კაპიტანო, სპათაგორის საშუალო სკოლის სამხედრო რაზმი გამოცხადდა თქვენს განკარგულებაში, — მოახსენა აივანზე მდგომ სამხედროს.

სხარტი ტანის, ულვაშებაწკეპილი შუახნის კაცი ახლოს მოდგა და მაღლიდან დაგვძახა:

— ზდრასტე, ტავარიშჩი!..

ხმაშეწყობილად ვუპასუხეთ. იგი ლევან ხუციევს მიუბრუნდა, რაღაცა უთხრა და გაბრუნდა. მეზობელი

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1, 2, 3.

სკოლის ბიჭებთან შეგვაერთეს, ერთ მოზრდილ საკლასო ოთახში შეგვიყვანეს და გვიბრძანეს, ლოგინებით პირდაპირ იატაკზე მოვწყობილიყავით, სანამ ჩამობნელდებოდა.

მერე სკოლის წინ დაგვაწყვეს ოცეულებად, მეთაურები მოგვიჩინეს და, უკვე ჩვენმა ნაცნობმა, სხარტი ტანის ულვაშა ოფიცერმა საერთო ბრძანება გასცა:

— ათასეულო, სწორდი! სმენა!.. — მკვირცხლად შებრუნდა და მაიორს მოახსენა: — ამხანაგო ბანაკის უფროსო, ათასეული მოწყობილია თქვენი ბრძანების თანახმად. მოგახსენებთ ბანაკის შტაბის უფროსი, კაპიტანი ყიფიანი.

მაიორი მოგვესალმა და დინჯად დაიწყო:

— ამხანაგო ჯარისკაცებო, ჩვენი სამშობლო საფრთხეშია. მიუხედავად წითელი არმიის მედგარი წინააღმდეგობისა, მტერი წინ მოიწევს. სისხლისმღვრელი ბრძოლებია გაჩაღებული ბალტიიდან შავ ზღვამდე... ამ მძიმე წუთებში სამშობლო მოგმართავთ თქვენ, მის ღვიძლ შვილებს, გუშინდელ პიონერებს... ჩვენი ამოცანაა, მოკლე დროში აითვისოთ საბრძოლო ტექნიკა, სწრაფად გაიაროთ დაწყებითი კურსი, რომ შეგეძლოთ იარაღით ხელში დადგეთ სამშობლოს სადარაჯოზე.

მაიორის სიტყვა დიდი ყურადღებით მოვისმინეთ. სასადილოდან მწყობრი ნაბიჯით დავბრუნდით და ყაზარმისაკენ გავეშურეთ.

ყაზარმაში მისვლისთანავე თოფ-იარაღი ავისხით და სალაშქროდ მოვემზადეთ. სწრაფი მარშით უნდა გაგვევლო ათი კილომეტრი, მტკვარი გადაგველახა და სარკინიგზო კვანძი წაგვერთმია „მტრისათვის“.

ათასეული საბრძოლოდ გამოწყობილი იდგა მოედანზე, მეთაურები თავიანთი ქვეგანაყოფების მზადყოფნაზე უპატაკებდნენ ბანაკის უფროსს. მერე შტაბის უფროსი წამოდგა წინ და ხმამაღლა იკითხა:

— ვის უმუშავნია სკოლის კედლის გაზეთში რედაქტორად? — და იქვე ბრძანა, წყობილების წინ გამოედით.

გულმა რეჩხი მიყო. ჩემს წინ მდგარ სერჟანტს მხარზე ხელი დავკარი, იგი წესისამებრ გვერდზე გადგა და მე სამწყობრო ნაბიჯით წინ წავდექი.

— რიგითი გელიაშვილი, — მოვახსენე.

კაპიტანმა შემომხედა, ახლოს მოვიდა და ალერსიანად მითხრა:

— ძალიან კარგი. წამოდი ჩემთან.

წინ გამიძღვა. კიბე ავიარეთ და შტაბში შევედით. კაპიტანმა მუყაოს ნაჭერი გამომიწოდა, რომელზეც დასტად ელაგა დიდფორმატიანი ფურცლები. ყოველ მათგანზე დიდრონი ასოებით იყო დასტამბული „ბოევოი ლისტოკ“.

— ახლა შენ სამხედრო კორესპონდენტი ხარ, ტაქტიკურ მეცადინეობაზე მომხდარ ამბებს უბის წიგნაკში ჩაინიშნავ. მერე კი ამ ფურცლებზე გადაიტან... ცხელცხელ ამბებს სანგრებში უნდა კითხულობდნენ ნორჩი ჯარისკაცები, მხოლოდ ისეთ ამბებს, რაც უფრო გაამხნევებს მათ და ვაჟკაცობის სულს შთაბერავს. აბა, იმოქმედე! თუ რაიმე გაგიჭირდეს, მკითხე, დაგეხმარები.

მუყაოს ნაჭერი და გაკეცილი ფურცლები ჩანთაში ჩავდევი და შტაბიდან გამოვედი. ათასეული უკვე გზას ადგა.

ბანაკის ეზოში დიდი, ვარვარა მზე ენთო. კორდი ჯარისკაცებით იყო მოფენილი. სამწყობრო მომზადებას გავდიოდით.

— რიგითი გელიაშვილო, კაპიტანთან...“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუბიმ კითხვა შეწყვიტა, ბლოკნოტი დახურა და გახარებულმა ტაში შემოჰკრა, მერე წამოხტა, ტუმბოზე დაწყობილ ქაღალდებს მისწვდა, სუფთა ფურცელი აიღო და დეპეშის ტექსტი დაწერა:

„სასწრაფოდ დაადგინეთ, რამდენი ახალოქრბეთია საქართველოში და რომელი მათგანი მდებარეობს მტკვრიდან ათ კილომეტრზე“.

ფურცელი სპორტული კოსტიუმის გულისჯიბეში ჩაიდო და ოთახიდან გავარდა. ქვედა პარკის მთავარ ხეივანში წყლის სასმელი პავილიონისაკენ გაექანა. ვესტა შორიდანვე შენიშნა, ხელში ფერადი ფინჯანი ეჭირა, წყალს წრუპავდა და როზარიუმისაკენ მოსეირნობდა.

— ვესტა!

გოგონა შემობრუნდა. ჯუბიმ ნაბიჯი შეანელა, ბლოკნოტი გადამალა და ახლოს მიუტანა გოგონას.

— აი, ხედავ, სად წერია „გელიაშვილი“. ვალიკო გელიაშვილისა ყოფილა ეს რვეული.

— მომილოცავს, ეს უკვე აღმოჩენაა, — შესცინა ვესტამ და ბლოკნოტი ინტერესით შეათვალიერა.

— მის სოფელსაც მივაგნებ, სპათაგორი რქმევია, მაგრამ მეეჭვება, რომ იგი ნამდვილი იყოს, უფრო ახალოქრბეთის ძებნა ვარჩიე. აგერ, ჩვენს კვალმაძიებლებს თბილისში ვუგზავნი დეპეშას.

ვესტამ ფურცელი გამოართვა და მკაფიოდ ჩაიკითხა რუსული ასოებით ნაწერი ტექსტი. რას ნიშნავსო, ჰკითხა ჯუბის და ყურადღებით მოუსმინა.

— ახლა კი სულ აქ ჩამოვრეკავ ზოლკელ პიონერებს, — თქვა მხიარულად.

ჯუბი ფოსტისაკენ გაიქცა.

.....— რა ქენი, გამოუშვი „საბრძოლო ფურცელი“? — მკითხა კაპიტანმა, როცა შტაბში შევედი.

— წერილები მზად მაქვს თითქმის ყველა ოცეულიდან, დაწერა კი ვერ მოვასწარი.

— ახლავე დაჯექი და დაწერე.

საუზმიდან დაბრუნებულებს ნამდვილი საბრძოლო იარაღი დაგვახვედრეს. ჩვენი ოცეულის წინ ხელის ტყვიამფრქვევი და რამდენიმე შაშხანა ელაგა.

ფირფიცარზე დახატული მუზარადიანი ფრიცების მიზანში ამოღება უკვე კარგად ვიცოდით; ახლა კი იარაღის ნაწილებს დავუწყეთ კირკიტი. ჯერ ლეიტენანტმა გვიჩვენა რამდენჯერმე, მერე კი ჩვენ ვშლიდით და ვაწყობდით შაშხანისა და ტყვიამფრქვევის საკეტს, ვასახელებდით ნაწილებს. ჩრდილში ვისხედით და ასეთი მეცადინეობა განცხრომად გვეჩვენებოდა ხანგრძლივი ლაშქრობების შემდეგ. ვცდილობდით, კარგად გვეპასუხა.

ნაშუადღევს ცოტა თვალი მოვატყუეთ, მერე ფეთიანებივით წამოგვყარეს და, საიერიშო ზოლთან გაგვამწკრივეს.

გვალვისაგან გადატრუსულ მელოტ გორაკზე წითელი დროშა ფრიალებდა. სასროლეთზე ვიყავით.

— მშვიდად იწექი, სუნთქვა არ შეწყვიტო, არ აჩქარდე, ნელ-ნელა დააჭირე სასხლეტს, — ისმოდა კაპიტან ყიფიანის ხმა.

ჩვენი ოცეულის მეთაური ავად გახდა და ახლა მის მაგიერ შტაბის უფროსი გვპატრონობდა.

შორს, გორაკის ძირას, სანგრიდან მუზარადიანმა „მტრის“ ჯარისკაცებმა ამოყვეს თავები.

— ცეცხლი! — გაისმა კაპიტნის კომანდა.

მეთაურის ძახილს ორი გასროლით გაეპასუხნენ შაშხანები. საცეცხლე ზღუდიდან მირიანი და გლახო წამოდგნენ, გაქექილ მხრებზე ისვამდნენ ხელებს. გლახო ტიროდა.

— რა გატირებს, ბიჭო, — გაუწყრა კაპიტანი. — ხომ გითხარი, კონდახი მჭიდროდ მიიკარი-მეთქი. უკუდარტყმა აქვს და რა ვქნათ, შენი გულისთვის იარაღს ხომ არ გამოვცვლით!

კაპიტანი ამშვიდებდა, თუმცა იცოდა, რომ მარტო გლახო არ იტირებდა ამ დღით. წინა დღეს სხვა ასეულში ვყავდი შტაბის უფროსს, მასალებს ვკრებდით გაზეთისთვის, იქაც იტირეს ბიჭებმა.

ჩვენი ოცეულის რიგმაც მოაწია. ხელის ტყვიამფრქვევი ზეავწიე, კანჭზე მივიკარი და სამწყობრო ნაბიჯით წაველი საცეცხლე ზღუდისაკენ. მეორე ნომერი გვერდით მომყვა. ტყვიამფრქვევი გავამზადეთ და მუზარადიანი „ფრიცების“ გამოჩენას დაველოდეთ...

აი ისინიც... სამნი არიან. მომჭირნედ უნდა ესროლო, მოკლე ჯერით. ერთეული გასროლა არ შეიძლება... ორორი ტყვია გავუნაწილე „ფრიცებს“ და კაპიტანს მოვახსენე, სროლა დავამთავრე-მეთქი.

წამოვდექით, ტყვიამფრქვევი ზღუდიდან გავიტანეთ და სამიზნეების სანახავად წაველით. კაპიტანი ნატყვიარებს წითელი ფანქრით ნიშნავდა და თან შენიშვნებს გვაძლევდა.




ქამარშეხსნილი მიშიკო იარაღმომარჯვებულ ჯარისკაცს მიჰყავდა. მაშინვე მივხვდი რომ დაპატიმრებული იყო.

— რა დაგემართა? — ვკითხე და გვერდით ავედევნე.

— წუხელ შინ გავიპარე და...

— ლაპარაკი! — იყვირა ბადრაგმა.

ქებაანელი გლახო იყო, მოშაირე და ხუმარა ბიჭი.

— რა მოგივიდა, გლახო, კაცთან სიტყვას აღარ მათქმევინებ?

— გლახო ორლობის ბოლოზე მოიკითხე, მე აქ ბადრაგი ვარ, მომშორდი! — იარაღი მომიღერა, მაგრამ არ შევეპუე.

— სოფელში რა ამბავია? — გავძახე მიშიკოს.

— ცუდი ამბებია, დეპეშები მოსულა ქერჩის შემდეგ... მაშინვე ჩემიანებისკენ გამიქანდა გული, დედა და თინა ძალო დამიდგნენ თვალწინ.

— აუცილებლად წადი შინ, დედაშენი ავადაა — უკვე შორიდან მეძახდა მიშიკო.

ოცეულის მეთაური კვლავ ავად იყო და მას ამჯერად სერჟანტი მეზურნიშვილი სცვლიდა, მასთან მივიჭერი.

— მაგის უფლება არა მაქვს, — მითხრა თანაგრძნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვბრუნდი. გადავწყვიტე გავპარუ[illegible] შემატყო მეზურნიშვილმა. უკანვე მიმიხმო და მითხრა, ჩემს თავზე ვიღებ, ახლა გაგიშვებ, ოღონდ დილისათვის ხიშტივით აქ უნდა დაერჭოო.

საღამოვდებოდა. კარგად რომ მევლო, დაბნელებამდე მივიდოდი სოფელში.

ხეობიდან გაველი და არხისპირა ბილიკს დავადექი. ყანები მოემკათ, არხს ზემოთ მთელ სივრცეზე კოშკებივით იყო მიმოფანტული წოწოლა ზვინები, ფერდობებზე კი მელნისფრად ისევ ბიბინებდა გვიან ნათესი შავღხა...

„ამდენი მოსავლის პატრონები მაინც შიმშილობენ ქალები. ხორბალს სულ არ ანაწილებს კოლმეურნეობა, მხოლოდ ქერსა და სიმინდს აძლევს შრომადღეებზე, ისიც ცოტას. ყველაფერი ფრონტს ეგზავნება. სწორიცაა, მრისხანე მტერთან შერკინებულ მებრძოლებს არ უნდა შიოდეთ“... — ეს გავიფიქრე და ვიგრძენი, რომ ძალიან მშიოდა.

ჩაბნელებულ, ვრცელ ეზოში ფანჯრებდაფისული, მაღალი სახლი ძველ ციხეს ჰგავდა.

ყველა კარი ღია იყო. ოთახებში ბნელოდა. ფეხაკრეფით დავდიოდი და ხმადაბლა ვეძახდი დედას. პასუხი არ ისმოდა. მერე საწოლებს ჩამოვუარე სათითაოდ, ხელები ვუფათურე ლოგინს. სახლში არავინ იყო. იქნება ბებოსთან წავიდა კაკოს სანახავად?

გარეთ გამოვედი და ერთხელ კიდევ გავხედე ჩაბნელებულ ეზოს. უეცრად ჩურჩული მომესმა რუს პირას გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოლებული ტირიფების მხრიდან, იქით გავიქეცი და რა დავინახე...

განაპირა ტირიფის ძირას შაოსანი ქალი იდგა. იდაყვით მიყრდნობოდა ხეს და ზედ ჩამოედო თმაგაწეწილი თავი. ცის ფონზე იხატებოდა ფლატის თავზე მდგარი ქალი... ეს დედა იყო... ჩემი დედა...

— დედა... დედიკო! — გავიქეცი და,ვიდრე შემობრუნებას მოასწრებდა მის წინ გავჩნდი.

ხელი მომხვია და აქვითინდა. სწორედ ამ დროს ვილაცამ დაიძახა გზის მხრიდან — დედას ეძახდნენ. მაშინვე წელში გასწორდა, თმა შეისწორა და ბილიკზე გავიდა. აქეთ ვარო, გაეპასუხა უკვე დამშვიდებული ხმით.

ბრიგადირი და მერგოლური ქალი მოსდგომოდნენ ჭიშკარს. ეტყობოდა, ლადიმერას ის ქალი წამოეყოლებინა დედასთან მოსალაპარაკებლად.

— შაშა ხარ? — იკითხა დედამ, — რამ მოგიყვანა ამ სიბნელეში?

ქალი ახლოს მოვიდა, ხელი მოხვია დედას.

— იმანა, შენ თავს შემოგევლე, რომა, ასეც არ იქნება, როგორც შენ იქცევი. სად გაგონილა ცოცხალი კაცის გლოვაი. ქაღალდში წერია, უგზო-უკვლოდ დაიკარგაო. ზოგი დაიჭრა, ზოგი ტყვედვარდება. მაგითანა ქაღალდის შემდეგ არ მოუვიდათ ჩინჩალაძიაანთ სულიკოს წერილი? ან რა საქციელია, აქ ჩვენ მუშახელი გვჭირდება, შენ კი გლოვის დღეები გაგვიმართე, გარეთ არ გამოდიხარ...

— არ შემიძლიან... ერთი დღე კიდევ მაცალეთ, — უთხრა დედამ.

— აგერ ბიჭი ჩამოგსვლია, ეს მაინც წამოვიდეს, სალეწ მანქანაზე ხალხი არ გვყოფნის, — საუბარში ჩაერია ლადიმერა.

— ამ წუთას მოვიდა, აცალე, შენაყრდეს და ახლავე ამოვა, — უთხრა დედამ და შინისაკენ წამიყვანა.

დედას დაწვრილებით გამოვკითხე, რა მოხდა ჩემს არყოფნაში, და ზედა სართულზე ავირბინე... ნიკა ძიას და მამაჩემის სურათები კედლიდან ჩამოეღოთ და კამოდზე დადგმულ საყვავილეებზე მიეყუდებინათ. იქვე მამის დაკარგვის შეტყობინება იდო.

— ნიკა ძიას სურათს რაღასთვის იღებდით? — გულზე შემომეყარა.

— არ ვიცი, თვითონაც არ ვიცი, — მიპასუხა დედამ ჩამქრალი ხმით.

„დედა მაგარია, აიტანს, მაგრამ რა ეშველება თინას, მასაც რომ ასეთი საშინელი ამბავი დაატყდეს თავს?"

— დედა, ნიკა ძიას წერილი არ მოსულა?

ღრმად ამოიოხრა, ჩამოდი შეჭამე რამეო, მითხრა და გაბრუნდა.

„თინა უპატრონოა... მას საყრდენი სჭირდება, ქომაგი სჭირდება".

კარადა გამოვაღე, თინას ხელჩანთა მოვძებნე და გავხსენი. ნიკა ძიას წერილებით იყო ამოტენილი. რა იქნებოდა, ერთი ან ორი წერილი მომეპარა აქედან და ხელმეორედ გამომეგზავნა? თარიღებს ფაქიზად ამოვშლიდი და თინას იმედებს გავუცოცხლებდი. წერილები ამოვიღე და არჩევა დავუწყე. უფრო შენახულ ფურცლებს ვეძებდი, სამკუთხა ბარათებს სათვალავი არ ჰქონდა და აბა ყველა ზეპირად ხომ არ ეცოდინებოდა თინას...

ანაზდად რაღაც ფურცელი მომხვდა ხელში, გავშალე და თვალებს აღარ დავუჯერე... ძია ნიკას დაკარგვის ქაღალდი იყო. აქაც ზუსტად ისე ეწერა: უგზო-უკვლოდ დაიკარგაო...

თინა, ეტყობოდა, საიდუმლოდ ინახავდა ამ ამბავს, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამას, თუკი გუტამ, მთავარმა მტერმა, ყველაფერი იცოდა?..



მხრებჩამოყრილი ვიდექი შუა ოთახში, მაგიდაზე დახვავებული წერილების წინ.

— ჩამოდი, შვილო, რაღას აკეთებ, — ამომძახა დედამ.

„არა ფარ-ხმალს არ დავყრი, რამენაირად უნდა გადავარჩინო თინა. ნიკა ძიას სახელი უნდა გადავარჩინო"...

არჩეული წერილები ჯიბეში ჩავიდე, დანარჩენი ქაღალდები უკანვე ჩავაწყე ჩანთაში და კიბეზე დავეშვი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კალოებს ვუახლოვდებოდი, საიდანაც უკვე ისმოდა მანქანის გუგუნი და მომუშავე ხალხის ჟრიამული.

ფაციფუცში მანქანას გაუხსნელი ძნა გადააყლაპეს, ერთი კი დაიღმუვლა დაძაბულად და მერე სულ უკლო ხმაურს. რომელიღაცა ღვედი გაწყდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩიორას შევხვდი, უღელი ხარი შეება კაბდოში და მანქანის ბოლოზე იდგა. უკან მოხუცი კაცი დაჰყვებოდა, წამოსდებდა კაბდოს გალეწილ ნამჯას და ქვემოთ მიხვეტავდა.ბნელში თეთრ პირამიდასავით მოჩანდა ბზის ახლად დადგმული ძირი. საფეხურებად იყო ჩამოკბილული პირამიდა. ყოველ საფეხურზე ქალები იდგნენ და ორთითებით ზევით ყრიდნენ ბზეს. პირამიდის თავზე სვიმანა პაპა იდგა, ის უდგამდა წვეროს ვეება ზვინს, რომ წვიმას არ გაეფუჭებინა.

— თინა არ გინახავს? — ვკითხე ჩიორას.

— აგერ, ბზის კიბეზე ნახე.

გავიხედე, მაგრამ ვერავინ დავინახე. რაკი სამუშაო აღარ ჰქონდათ, იქვე ბზეში ჩაწოლილიყვნენ ერთმანეთის გვერდით, მხოლოდ წაშურდნული თავშლებიღა მოუჩანდათ.

ვიფიქრე, მანქანა რომ ამუშავდება, მაშინ ვნახავ-მეთქი, და იქვე ძნებთან მივწექი. ერთიან მტეხდა დაღლილი სახსრები, მაშინვე მომიპარა ძილმა და ფერად სიზმრებში შემაცურა...

მზე იდგა და ტბის პირას დუმფარები ჰყვაოდნენ. მე და მამა ნავით დავცურავდით ლურჯ წყალზე... იხვებზე ნადირობდა მამა.

მოულოდნელად გედი ამოგვიფრინდა ლაქაშებიდან და მაღლა წავიდა, მზისკენ. თვალი გავაყოლე.

— დაცალებული გედი, — ვუთხარი მამას, — თეთრი გედი.

— რაკი დაცალებულა, თეთრი აღარ იქნება, — მიპასუხა მამამ.

გამიკვირდა მისი ნათქვამი და ცას შევხედე. მომეჩვენა, რომ შავი ღრუბლის ნაგლეჯი შემოსდგომოდა მზეს... არა, ეს გედი იყო, დაცალებული თეთრი გედი გაეშავებინა მარტოობის ნაღველს...

— შერგოლილია, იცი? — ვკითხე მამას.

თავი დამიქნია...

გამომეღვიძა. სვიმანა პაპა გადმომდგარიყო ბზის პირამიდაზე და ქალებს აღვიძებდა.

— ადექით, შვილო, შინ წადით, რიგიანად მაინც დაიძინებთ, ხომ გაიგეთ, მანქანა აღარ იმუშავებსო.

გათენებულიყო. მაშინვე წამოვხტი, ორთითა ავიტაცე და ქალებისაკენ გავიქეცი, რომლებიც კანტიკუნტად იღვიძებდნენ, ტანსაცმელს იბერტყავდნენ და ზლაზვნით მიდიოდნენ სახლებისაკენ. ვიფიქრე, თინას გაცატან-მეთქი სახლში ორთითას. წამოვეწიე, მაგრამ ველარ გავბედე დამეძახა...

ნამძინარევი თვალები მოვიფშვნიტე და ადგილზე გავხევდი.

ჩემს წინ შავი გედები იშლებოდნენ ლაქაშებიდან... ხანტად იფერთხავდნენ გაშავებულ ფრთებს და ნაღვლიანი თვალებით უყურებდნენ ამომავალ მზეს. შერგოლილები იყვნენ... შერგოლილები და დაცალებულები.

აი ერთმა ქალმა ბეჭდიანი ხელით შეისწორა შავი თავშლიდან დაცურებული წაბლისფერი თმა და თავჩაღუნული გაუდგა გზას, მას მეორე მიჰყვა, მესამე... მაგრამ ეს რაღა იყო, პატარა გედი?..

მათ მიჰყვებოდა მოკლე ნაბიჯებით შავკაბიანი პატარა გოგო.

— რუსიკო! — დავუძახე და გამოვეკიდე.

შედგა, შემომხედა და ქვითინი წასკდა. ახლოს მივედი.

— მამა? — ვკითხე, როგორც იქნა.

თავი დამიქნია და უარესად ამოუჯდა გული. ვიდექი და უმწეოდ შევყურებდი, რით უნდა მენუგეშებინა?

— უკვალოდ დაიკარგაო?

თავი დააქნია. სლუკუნებდა, ცრემლმორეული თვალებით შემომყურებდა.

— მამაჩემზეც მოვიდა ეგეთი ქაღალდი, მაგრამ მე არ მჯერა მისი სიკვდილი... ფრონტზე ათასი გაუგებრობა ხდება, იმიტომაც წერენ უგზო-უკვლოდო...

— არა... იქ ზღვა არის და იმიტომ, — მიპასუხა და გზა განაგრძო.

თინა ეზოში შემომეგება. საყვედურებით ამიკლო, რომ მიგვატოვე და აღარ გვკითხულობ, ასე უნდაო? ძველ კაბაში ჩაკარგული და სახენაღვლიანი მაინც ლამაზი იყო ჩემი ძალუა. გუტა გამახსენდა და ბოღმით ამევსო გული.

— ბევრი რამე გაქვს გულის დასაჩაგრავი, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძლო, — მანუგეშებდა თინა.

უეცრად ის ჭდე გამახსენდა, წასვლის წინ რომ რუს პირთან დავრგე. მის სანახავად გავიქეცი. მეგონა, ვეღარ ვიპოვიდი, გამხმარს, ბალახებში ჩაკარგულს, მაგრამ გაოცებული შევდექი რუს პირთან. ტირიფის ტოტს ყველა ტკივილისათვის გაეძლო, ყველა ნაჭდევი შეეხორცებინა და აქეთ-იქით ლაღად გადაეშალა გრძელი, მოქნილი ლერწები. განთიადის ცინცხალი ნამი ეყარა ფოთლებზე და მზის ამოსვლას ელოდა, ალბათ სიზმარივით თუ ახსოვდა სარძევეში გადატანილი მწარე დღეები.

●

ბანაკში ყოფნის დარჩენილმა ერთმა კვირამაც მალე გაიარა. კვირის ბოლოს დაგვშალეს და ჩვენ ჩვენი სოფლის გზას გაგვიყენეს.

მე და ტარიელა ბარგაკიდებულები დავეხეტებოდით ბაზარში, ჩვენებურებს ვეძებდით. კვირა დღე იყო, ბაზარი თანდათან ივსებოდა ხალხით. ველოდით, რომ ურმიანი ან ცხენიანი გამოჩნდებოდა ვინმე და ლოგინებს მას გავატანდით.

ამ დილით დაგვშალეს და ულუფაც, ცხადია, აღარ გვეკუთვნოდა. გვშიოდა.

— ეი, ილას ბიჭო, მოდი აქ, — დაიძახა ვიღაცამ.

განაპირა, ცარიელ დახლთან კაცები იდგნენ და ღვინოს სვამდნენ. ტარიელა მაშინვე მათთან გაჩნდა.

მალე მობრუნდა, გახარებული ჩანდა, თან ილუკმებოდა და თან მიყვებოდა:

— ლონგინოზია. სიმინდი გაუყიდია, კამეჩებშებმული ურემი დაბლა, რიყეზე მიყენიაო. პურს შევჭამენ და წავალთ.

— ვინ ლონგინოზია?

— ლანგია, კაცო, კანტორის ყარაული.

— რაკი პური გაჭამა, იმიტომ გახდა ლონგინოზი? — გამეცინა.

კარგი ერთი, თუ ძმა ხარო, ჩაიბუზღუნა ტარიელამ და ლოგინი წამოიკიდა, მეც უკან მივყევი.

— ვინ მისცა მაგდენი სიმინდი მაგ მართლა ლანგიას?! — გავიკვირვე.

— მარტო თავისი კი არ ყოფილა, გამოუტანებიათ, — მიპასუხა ტარიელამ, ბარგი კარგად გააწყო ურემზე, ჩამოხტა და კამეჩებს პეშვით წყალი შეასხა.

„მტერი საქართველოს საზღვრებს მოადგა, ჩვენ კი დაგვშალეს და სახლებში გვაგზავნიან. რატომ? არ გვენდნენ?.. როგორ არა, მაგრამ, ალბათ, პატარებად ჩაგვთვალეს, გაგვიფრთხილდნენ“.

— ტარიელ, ერთ ადგილას მინდა მივიდე და გზაში წამოგეწევით... კარგი?

თავი დამიქნია. მაშინვე თავქვე დავეშვი.

— თუ ვინიცობაა და ვერ დაგეწიე, ჩემს ბარგს მიეპატრონე, — გამოვძახე შორიდან.

რიყეს გავცდი და ჩემი სოფლისაკენ მიმავალ გზას დუმილით დავემშვიდობე... მარჯვნივ წავედი. ჩემთვის ახლა ეს აბალახებული საურმე ფრონტზე მიმავალი გზა იყო. მართალია, იგი ჩვენი სოფლის მინდვრებზე გაივლიდა და გზებსაც გადაკვეთდა, მაგრამ მე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა რკინიგზამდე მივსულიყავი...

ცხელოდა. გიმნასტურა მოვიღელე, თოფი მხარზე გადავიკიდე და მხედრულად მივაბიჯებდი შარაგზაზე. ლანგიას ყველმა და პურმა წყალი მომაწყურა, გზისპი-

რა ბაღში მწვანე ვაშლი მოვწყვიტე და იმითი გავისვე-ლე პირი.

გზას მივადექი, საძნე ურმებისა და საქონლის სია-რულისაგან ამტვერებულს. ეს გზა ნაწვერალებს შუა მიიკლაკნებოდა, მერე რუსიკოანთ ვენახის გვერდით გაივლიდა, ფშატებით დაჩრდილულ ორღობეში გაიგ-რილებდა ზურგს და ისევ მინდვრებში გავიდოდა, უკვე სოფლისპირა მინდვრებში.

ღიღინი მომესმა ქვემოდან. გავიხედე და რაღაცით ჰალის წვერებამდე დატვირთული ურემი დავინახე, მერე — მეორე, მესამე.

ურემზე მერხები ელაგა, სულ ახალთახალი მერხები, შავ-წითლად შეღებილი. ვინ მოიცალა მათთვის ამ გან-საცდელის ჟამს?..

რაღაცამ მიბიძგა, საფრიდან გამიყვანა და ურმებს ამადევნა. უხმაუროდ მივაბიჯებდი მტვრიან გზაზე, ურ-მის ბოლოს მივეწებე, მერხების ცქერით ვერ ვძღებოდი. ახალი საღებავის სურნელი სკოლას მახსენებდა, პირველ სექტემბერს, ამხანაგების მხიარულ, მომცინარ სახეებს..

ნაწვერალზე გავლით გაველი შარაგზაზე და სადგუ-რისაკენ გავწიე. ისე ჩაველი რკინიგზამდე, გზაზე არავინ შემხვედრია. ქამარი მჭიდროდ შემოვირტყი, გიმნასტუ-რა გავისწორე, დამტვერილ ფეხსაცმელებს წყალი გადავავლე და დინჯი ნაბიჯით გაველი ბაქანზე. ლითო-ნისფრად შეღებილი ჩემი შაშხანა ნამდვილს ჰგავდა...

მალე სადგურში ნელი სვლით შემოვიდა სამხედრო ეშელონი. დახურულ სატვირთო ვაგონებში ჯარისკაცე-ბი ისხდნენ, კარი ყურთამდე გაეღოთ, მოაჯირივით მაგიერ ფიცარი გაედოთ და იდაყვებზე დაყრ[illegible]-რებოდნენ.

ვაგონებს ფრთხილად ავეტორღიალე, ვიფიქრე, აიძ-რება თუ არა, სადმე საფეხურზე მოვიკიდებ-მეთქი ფეხს.

ყელზე დურბინდჩამოკიდებული ვიღაც კაცი გა-მომენთო ყვირილით.

— რა ეშმაკად ჩამოდიხართ ვაგონიდან... კაპიტან ევდოკიმოვ! — მიუბრუნდა ვიღაცას ვაგონისაკენ. — რას გავს ეს?

— ჩვენი არ გახლავთ, ამხანაგო მაიორო, ალბათ ბოლო ვაგონიდანაა.

— სოლდატ, კო მნე! — მიყვირა მაიორმა.

მივირბინე და წესების სრული დაცვით წინ გამო-ვეჭიმე.

— ეს რა უმსგავსოებაა! რას გავხარ, სად არის შენი ტოლაღები!

— ვინავატ, ტავარიშჩ მაიორ, — ვუპასუხე.

— აბა სირბილით ვაგონისკენ, მარშ ვ ვაგონ! ბე-გომ! — მომაყოლა, რაკი დრო აღარ ჰქონდა რომ გავე-თათხე. ეშელონი აიძრა.

პირველივე შემხვედრი ვაგონისაკენ გავიქეცი, ჯა-რისკაცებმა ხელი შემომაშველეს, ჯერ თოფი გამომარ-თვეს, მერე კი მეც ამიტაცეს ვაგონში.

— რომელი ვაგონიდან ხარ? — მკაცრად მკითხა მათმა მეთაურმა.

— ბოლო, — ძლივს ამოვილუღლუღე აქაქანებულმა.

— ბიჭოს, ეს რა თოფია, — შეიცხადა იმ ჯარისკაც-



მა, რომელმაც წეღან ჩემი სასწავლო შაშხანა გამომარ-თვა.

მაშინვე მასთან მივიჭერი და ყელი გამოვუწიე, არ გამთქვა-მეთქი. ხნიერი კაცი იყო, შემომხედა და მაშინვე თვალები მოუთბა.

— ქართველი ხარ? — მკითხა და ახლოს მოვიდა, — საიდან მოდიხარ?

— სამხედრო ბანაკში ვიყავით ამ ზაფხულს, სკოლიდან გაგვაგზავნეს, ახლა დაგვიმთავრდა და...

— ფრონტზე გასწიე, არა?.. ახლავე უნდა ჩამოგსვათ ვაგონიდან.

— ვერაფერსაც ვერ ჩამომსვამთ. აი ჩემი საბუთი, — გულის ჯიბიდან ბანაკის შტაბის მიერ მოცემული ცნობა ამოვიღე და გავუფრიალე.

ცნობა მეთაურმა გამომართვა, რაშია საქმეო, ჩაილაპარაკა და მერე ხმამაღლა წაიკითხა. ახალგაზრდა მებრძოლის კურსი გაუვლია, სხვა რაღა გინდა ამ კაცისაგანო, იმ ხნიერ ჯარისკაცს შეხედა.

— გაწვეული არ გახლავთ, ამხანაგო კაპიტანო, სკოლიდან მოდის. ამ თოფს რომ უყურებთ, ხისაა, — უპასუხა მან და ჩემი შაშხანა ხელში შეაჩეჩა მეთაურს.

მეთაურს თოფი ემსუბუქა, გაეღიმა, მაგრამ მაშინვე მკაცრი იერი გადაიკრა სახეზე.

— ცხადია, უნდა ჩამოვსვათ, პატარა ყოფილა, — ბრძანების კილო გამოურია ნათქვამში.

— რომელი პატარა, ორჯერ ვარ დარჩენილი, ჯერ კიდევ აპრილში შემისრულდა თვრამეტი წელი.

— საბუთი გაქვს რამე?

არა-მეთქი, თავი გავაქნიე და მეთაურს ისევ წამიერი ღიმილი გაუკრთა პირის კუთხეებთან. დაანაყრეთ სტუმარიო, უთხრა ჯარისკაცებს, პირველსავე გაჩერებაზე ჩამოვსვამთო.

ქამაყის ნაჭერი და ორცხობილა შემომაძლიეს, მაგრამ ზედ არ გავეკარე, მშიერი კი არ ვარ-მეთქი, მივუგე ამაყად და განზე გავდექი.

— რა დროს შენი ფრონტია, შვილო, ისევ ბუსუსიანი ხარ ბარტყივითა, ჩემი ნუგზარის ხელა თუ იქნები პა და პა, — მითხრა ხნიერმა ჯარისკაცმა ქართულად და ამოიოხრა.

გამეცნო, ბორჩალოდან ვარ, ლადო მქვია, შენ კი ძია ლადო დამიძახეო. ნარზე ადგილი მომიჩინა, შეგიძლია მანდ წამოწვეო. მაშინვე მივწექი და გულიანად ჩამეძინა.

ჯარისკაცების ლაპარაკმა გამომაღვიძა. გამოძინებული ვიყავი და იმაზე მივხვდი, რომ ბლომად დრო იყო გასული. ზედა ნარზე ვიწექი, კუთხეში, სარკმელი იქვე იყო, თავი წამოვწიე და გავიხედე. მონისლული მინდვრები ჩანდა მხოლოდ.

— სადა ვართ? — ვკითხე ძია ლადოს.

ის დაბლა იდგა, ღია კართან, მის გვერდით სხვა ჯარისკაცებიც მოჩანდნენ. მოაჯირად გაკეთებულ ფიცარს გადაყრდნობოდნენ და წეკოს აბოლებდნენ.

— მთელ ღამეს ისე იარა, არსად არ გაჩერდა ეს ოხერი, — ამბობდა ძია ლადო, ალბათ ეშელონს თუ გულისხმობდა.

— კარგია, მალე მივალთ, — გაეპასუხა ვიღაც.

— მე იმას ვამბობ, ბიჭი ველარსად ჩამოვსვით, შემოგვრჩა.

— არა უშავს, მაგაზე პატარები ომობენ. — გამოეხმაურა ახლა სხვა.

ძია ლადოს აღარაფერი უთქვამს, ჩემკენ შემობრუნდა და მაშინღა მიპასუხა, მახაჩყალას გავცდითო.

„კასპიისპირა ტრამალებში ვარ. აი, სად ამოვყავი თავი. ვინ იცის, სოფელში რას ფიქრობენ ჩემზე. უნდა წერილი მივწერო დედას... ჰო, მართლა, თინასაც უნდა გავუგზავნო ნიკა ძიას წერილი... ჯერ თინას გავუგზავნი".

— გერმანელები უკვე მოზდოკში არიან. ალბათ ამიერკავკასიის ფრონტს მიგვაშველებენ, — ვარაუდობდა ერთი ჯარისკაცი.



— ვოლგასთანაც ცხელი დღეები დგას. შეიძლება სტალინგრადის ფრონტზე ამოგვაყოფინონ თავი, — გაეპასუხა მეორე.

ღამით კიდევ გავჩერდით ერთგან, ისევ წვიმდა. ფაშისტებს რკინიგზის სადგური დაებომბათ. ხანძრების შუქით იყო განათებული ვაგზლისპირა დასახლება. ვაგონებიდან გადმოდითო, გაისმა ხმადაბალი ბრძანებები. ჯარი უხმაუროდ განლაგდა კოლონებად და ჯერ ნაბიჯით, მერე სირბილით გავიდა ქალაქიდან.

ტრამალში უკუნეთი სიბნელე იდგა. გათენებამდე მარშით ვიარეთ. განთიადისას არყნალში დავბანაკდით, ჩავსანგრდით და საველე სამზარეულოს დაველოდეთ. მერე ხელდახელ შევხვრიპეთ ცხელი სუპი. მეთვალყურეები დავაყენეთ და საძილედ მივეყარენით.

საღამოს ისევ ავშალეთ ბანაკი, ისევ ვიარეთ მთელ ღამეს, მივდიოდით და ზეზეურად გვეძინებოდა. გვაწვიმდა, ერთიან დალორთხებულები ვიყავით, მაგრამ მაინც გვერეოდა ძილი.

შესვენებისას რუსმა ჯარისკაცებმა სიმღერა წამოიწყეს ეულ ცირცელზე, ქარი უზნქავდა წელს ნაზ ცირცელს, აქანებდა აქეთ-იქით. ცირცელი ბუხის სიახლოვეს ყოფნას ნატრობდა. გულში ჩამწვდომი სიმღერა იყო. ეს უფრო ქალის სიმღერა იყო... დაცალებულ

შავი გედის მოთქმა... დედა და თინა დამიდგნენ თვალწინ, ნაღვლიანი თვალებით შემომხედეს. ახლა უკვე შენზეც ვდარდობთო.

დანარჩენი ჯარისკაცები მუჭში დამალულ პაპიროსებს სწევდნენ და დაფიქრებულები უსმენდნენ, ვინ იცის, ვინ რაზე ფიქრობდა.

●

სულ უფრო საგრძნობი ხდება შემოდგომის სუსხი. ღამღამობით კარვებში ცივა. ადრე გამეღვიძა. წამოვდექი და ჩუმად ჩავიცვი. მივეჩვიე ათეულის მეთაურის მოვალეობას. ვიდრე სხვა ჯარისკაცები გაიღვიძებენ, ათი წუთით ადრე უნდა ავდგე.

მთავარი კარვიდან ლეიტენანტი ტოლსტორუკოვი გამოვიდა.

— რაო, არ გეძინება გაფრენის წინ? ამინდი რაღაც არ მომწონს, — ცას შეხედა, — მგონი, გადაიდება ფრენა.

ჩემზე ოდნავ დაბალი იყო ბორის ტოლსტორუკოვი. შავთმიანი და შავთვალა. სანამ არ დაილაპარაკებდა, ვერ მიხვდებოდი, რომ რუსი იყო. აკი მაშინაც გამაცურა, როცა გამეცნო.

— გამარჯობა, ჩვენებურო. შემთხვევით სპორტსმენი ხომ არა ხარ?

თვითმფრინავიდან იმ დღეს მეორედ გადმოვხტი და პარაშუტს ვკეცავდი გადასატან ჩანთაში ჩასადებად. ეს ბიჭი კი ბლოკნოტითა და ფანქრით ხელში დადიოდა და რაღაც სიას ადგენდა.

— ხომ არ გინდა ჩაეწერო დივიზიის ნაკრებში? — მკითხა, როცა სპორტსმენად ვაღიარე თავი.

— რომელი დივიზიის?

— როგორ, განა არ იცი, რომ საჰაერო-სადესანტო დივიზიაში იმყოფები?.. გვარდიულ დივიზიაში, რომელიც სტალინგრადს იცავს.

— ვიცი, როგორ არ ვიცი.

— ჰოდა, ამ დივიზიის ნაკრებს ვადგენ, ოღონდ ბურთის სათამაშოდ კი არა, უფრო სერიოზული საქმე გვექნება და შენნაირ ღონიერ ბიჭებს ვარჩევ. წამოხვალ?

მაშინვე დავთანხმდი. მას შემდეგ ღამითაც გადმოვხტით თვითმფრინავიდან, თითქოს ერთმანეთი შევამოწმეთ ახალი ჯგუფის წევრებმა.

ნასაუზმევს ლეიტენანტმა დაგვაწყო და სამეცადინოდ წაგვიყვანა. მხოლოდ რამდენიმე მებრძოლი გვაკლდა, რომლებიც ადრევე თავისთან წაეყვანა კაპიტან კორშუნოვს.

მდინარისაკენ წავედით, უფრო სწორად, ეს იყო ნაკადული, რომლის გადაყინული, თხელი გუბეები მდინარესავით მოჩანდა შორიდან. ხიდის ყურთან შევჩერდით. ლეიტენანტმა საველე ჩანთა გახსნა და რაღაც ფურცლები ამოიღო. პირადი საბუთები და საერთოდ, რაც კი გაგვაჩნდა, ყველაფერი ზემდეგს ჩავაბარეთ ნაწილიდან წამოსვლის წინ. სწორედ ამან მიგვახვედრა, რომ მტრის ზურგში მივფრინავდით.

დასასრული შემდეგ ნომერში



ვიმეორებთ დაბეჭდილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახლი ულიანოვსკში

აპრილის თვეში, როცა სისხამზე
ბუდეს იგებენ ჩვენში ფრთოსნები,
ჩვენი ფიქრებიც ფრთებს შეისხამენ,
მთებს გადიფრენენ ლაღი ოცნებით.

ხეხილის კვირტებს მთასა და ბარში
საგაზაფხულოდ მზე რომ გამოსკვხის,
განსაკუთრებით გვწადია მაშინ
ვნახოთ ქალაქი ულიანოვსკი.

გვინდა ვიხილოთ სხივთა ღიმილში
ის კარ-მიდამო, ის მყუდრო კერა,
სადაც გაისმა დიდი ილიჩის,
პირველი სიტყვა და გულის ძგერა.

გავხედოთ ველებს, გადაშლილ სერებს,
ტკბილი ოჯახი სადაც სახლობდა,
მისი ბავშვური კისკასის მსმენელს
ჰერსაც შევავლოთ თვალი ახლოდან.

იქ ძვირფასია ნივთი ყოველი, —
გაგვაცნობს ბრძენის ბავშვობის ხანას...
მან სიბნელეში მყოფი მშრომელი
სინათლის გზაზე გამოიყვანა!

მაყვალა მრევლიშვილი.
დაიბეჭდა „პიონერში" 1954 წელს.



სერგო კლდიაშვილი

მხატვარი
ა. მახარაძე.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

# ზურია



ჩემმა ძველმა მეგობარმა ალექსანდრე თუხარელმა, ცნობილმა მეტყევემ, რომელიც სამამულო ომის დროს მაიორი იყო და ერთ ხანს კავკასიონის მთებშიც ებრძოდა შემოსეულ მტერს, ამას წინათ ზღვისპირა რაიონი მოიარა და იქიდან დაბრუნებულმა უმალვე მინახულა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა. წინათაც ყოველთვის გულწრფელი ყურადღებით ვუსმენდი მეგობარს, როცა ჩვენს ტყეებზე სიტყვას ჩამოაგდებდა, — მისი სიყვარული ტყისადმი იმდენად თავისებურია, რომ დარწმუნებული ვარ, რაღაც ცოცხალ, თითქმის სულიერ არსებად მიაჩნია ის. ველოდი, რომ ახლაც ამგვარ რაიმეს იტყოდა. მაგრამ ამჯერად მისგან სულ სხვა რამ გავიგონე, იმ განსხვავებული მღელვარებით, რომელსაც სიხარული წარმოშობს ხოლმე, თუხარელმა შემდეგი მიამბო... არა, არ იფიქროთ, რომ მან უბრალოდ დაიწყო მოყოლა. აი ამიტომ იყო, რომ უცბადვე შევატყე მღელვარება. ალბათ, ვეცოტავე ერთი მსმენელი, თავი მოუყარა შინ მყოფთ, ყველას თვითონვე მიუჩინა დასაჯდომი ადგილი, თამბაქო გააბოლა და წუთიერი საზეიმო სიჩუმის შემდეგ დაიწყო თავისი ამბავი. ცოტა არ იყოს, ახირებული კაცია ჩემი მეგობარი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ესეც მხოლოდ სასიკეთოდ ემატება მის მრავალ ღირსებას...

აი, ის ამბავიც:

„სოხუმის ჩრდილოეთით, მთებში, სადაც კავკასიონის ქედი შავი ზღვის ნაპირს უმეზობლდება, ტაფობს ზევით ერთი სოფელია. ორმოციოდე სახლი, ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივად მთიან საქართველოში იშენებენ, ერთმანეთისაგან შორიახლოს დგას. ვინც პირველად ამ სოფელს თვალს შეავლებს, ალბათ, ეუცნაურება თუ რატომ განმარტოებულან ადამიანები, რად აცოცებულან იმ სიმაღლეზე, როცა დაბლობში საკმაოდ არის დაუსახლებელი ვაკე ადგილი. მხოლოდ ქორმა იცის ასეთ მიუვალ ადგილებში ბუდის გაწყობა.

ის სოფელი ძველად არის გაშენებული. იქნებ მაშინდელ ხაშმიან დაბლობს გაექცა ადამიანი, ან იქნებ მტრის შემოსევისაგან თავის დასაცავად აირჩია ძნელად მისაგნები, თითქმის უჩინარი კუთხე.

თუმცა ძალიან მაღალზეა სოფელი და თოვლიანი მწვერვალები არცთუ ისე შორსაა, ჰავა იქ მაინც რბილია. როცა უღრუბლო დღეა, ხევიდან გარკვევით მოჩანს ფირუზისფერი გრძელი ზოლი, — ეს შავი ზღვის ნაპირია.

სოფელს არტყია უღრანი ტყე, სადაც გარეული თხილი, პანტა, მაყვლის ბუჩქები, ათასგვარი ველური ყვავილი ერთმანეთში არეულა.

ჩემი ნაწილი 1942 წლის ზაფხულში ამ სოფლის ახლო ხევში იყო დაბანაკებული. ეს ადგილი უკანასნელი საზღვარი იყო, რომლის იქით კავკასიონის ქედის ვიწროებში შემოჭრილი მტერი იდგა.

თუმცა მტრის ჯარი ახლო იყო, მაგრამ მოსახლენი მაინც არ გაიხიზნენ და, არათუ მოერიდნენ იქაურობას, პირიქით, მზად იყვნენ დაგვხმარებოდნენ რითაც კი შეიძლებოდნენ.

მათ შორის მრავალი მეგობარი შევიძინე. განსაკუთრებით დავუახლოვდი ერთ ოჯახს, რომელიც სოფლის ბოლოში მოსახლეობდა. იმ ოჯახის უფროსი იყო ჭაღარაშერეული, ოდნავ კუშტი გამომეტყველების, საშუალო ტანის პირხმელი მამაკაცი — ოტია ესებუა. გაიცნობდით თუ არა, უმალვე მისდამი პატივისცემის გრძნობა დაგებადებოდათ. დინჯი საუბარი იცოდა, სიტყვას დაკვირვებით ამბობდა, მოძრაობა აუჩქარებელი ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს იგრძნობდით, რომ საჭირო წუთში მეტად სწრაფი და დაუცხრომელი იქნებოდა.

ოტიას კარგი სახელი ჰქონდა კოლმეურნეობაში, როგორც გამოცდილ მენახირეს, ამავე დროს განთქმული მონადირეც იყო. სახლის გარეკედელზე მიჭედილი ჰქონდა მისგანვე მოკლული ჯიხვების რქები, ხოლო ოთახში ტახტზე ეფინა ნანადირევი დათვის ტყავები.

ოტიას ცოლს ფელიკო ერქვა. მშვიდი და ალერსიანი ქალი იყო. ისეთი გულკეთილი ღიმილით შეგებება იცოდა, რომ ადამიანს გულს გაუნათლებდა. სანდომიანი სახე ჰქონდა და, ეტყობოდა, რომ ქალიშვილობაში ძალიან ლამაზი იყო.

ერთი შვილი ჰყავდათ ესებუებს, — ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ზურაბი, რომელსაც შინაურობაში ზურიას ეძახდნენ. ბიჭი საოცრად გავდა მამას. ისეთივე წაბლისფერი თვალები და ქერა თმა, ისეთივე ცხვირი, რომელზედაც უკვე შეინიშნებოდა ოტიას კაუჭი. ლაპარაკიც იმგვარივე იცოდა, — აუჩქარებელი, დინჯი, თითქოს სწონიდაო თითოეულ სიტყვას. უნებურად გაიღიმებდა კაცი, როცა ოტიას ამ პატარა განმეორებას დაინახავდა.

მამა და შვილი ერთმანეთთან დამეგობრებულნი იყვნენ. ოტია ალერსით არ ანებივრებდა ვაჟს, თუმცა ძლიერ უყვარდა. მშობლები უყურებდნენ პატარა ზურიას, როგორც ოჯახის მომავალ პატრონს, სკოლაში ასწავლიდნენ და სოფლად საქმესაც აჩვევდნენ. ოტიას არაერთხელ სანა-

დიროდაც წაუყვანია და ნადირობის წესებს აცნობდა.

ეს პატარა ოჯახი ომის პირობებშიც არ იშლიდა თავის ჩვეულებას. ეს ჩვეულება კი ჩვენებურ გლეხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და თაობიდან თაობაში გადააქვს. თქვენ იცით, როგორია ჩვენებური გლეხი, — სტუმართმოყვარე, პურადი, თავისი ქვეყნის მოტრფიალე, მოკეთისათვის თავდადებული და სხვა მრავალი კეთილი ღირსებით შემკული.

ფელიკო და ოტია რაკი ერთხელვე დამიმეგობრდნენ, თავის თავს ვალდებულად თვლიდნენ ჩემდამი ყურადღება გამოეჩინათ. ერთხელ, ნაშუადღევს, ოტია სრულიად მოულოდნელად ჩემთან გაჩნდა სანგარში: — „რამდენიმე დღეა შენზე არაფერი ვიცოდით და ამბის გასაგებად მოვედით", — მითხრა მან.

იმ ადგილებში დღით გამოჩენა სიკვდილთან თამაშს უდრიდა. მტერს ისეთი ადგილი ეჭირა, რომ არაფერი დაურჩებოდა შეუმჩნეველი. მტრის ტყვია უმალვე მოხვდებოდა ყველას, ვინც გამოჩენას გაბედავდა. ოტია კი უვნებლად მოდიოდა და მიდიოდა. ამ გარემოებამ ის აზრი დამიბადა, რომ მან, ძველმა მონადირემ, საიდუმლო და უჩინარი ბილიკები იცოდა. ასეთ კაცს ჩვენთვის დახმარების გაწევა შეეძლო, თუ ამის საჭიროება დადგებოდა.

ჩვენ მუდამ იმის მოლოდინში ვიყავით, რომ მტერი დღეს თუ ხვალ შეეცდებოდა გადმოელახა ზღუდე და ჩვენზე იერიშით წამოსულიყო. ველოდით ამას და ფხიზლად ვიყავით. მთელ ჩემს ნაწილს ერთსულოვნად გადაწყვეტილი ჰქონდა თავი გაეწირა, ოღონდ კი მოწინააღმდეგისათვის წინ წამოსვლის საშუალება არ მიეცა. რამდენიმე ხანი ასე უმოქმედოდ ვიდექით ჩვენც და მოპირდაპირეც.

ჩვენს წინაშე მალე ასეთი ამოცანა დადგა: არა მხოლოდ თავდაცვა, არამედ მტრის გარემოცვა და მოსპობა! სარდლობის ამ დავალებას მივაღწევდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი მხრიდან შემოვუვლიდით მაღლობზე გამაგრებულ მოწინააღმდეგეს და მის ზურგში ერთ მაღალ, თითქმის ტიტველ მთას დავიკავებდით.

კარგად ვიცოდი ჩემი მებრძოლების ამბავი. დარწმუნებული ვიყავი მათ სიმამაცეში, მაგრამ ვშიშობდი, რომ ბევრს უსარგებლოდ დავღუპავდი, თუ ამ ადგილების მცოდნე გამყოლებს არ მოვიშველიებდი.

ამაზე დაფიქრებულს ოტია ესვეუა მომაგონდა.



„აი ვინ გამომადგება ამ საქმეში! — ვუთხარი ჩემს თავს. — ოტია სხვა საიმედო გამყოლსაც გამომინახავს!".

დადგა ის დღე, როცა, სარდლობის ბრძანებით, მტერზე იერიში უნდა მიგვეტანა.

ჩვენ ვემზადებოდით, მაგრამ არც მოპირდაპირე იყო გულხელდაკრეფილი. თითქოს იგრძნო ჩვენი განზრახვაო, თვითონაც ამოძრავდა. მტრის თვითმფრინავები იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად თავს დაგვტრიალებდნენ, გვზვერავდნენ და ხანდახან ალალბედზე ხევში ბომბებს ყრიდნენ. სოფელზედაც გაინავარდეს რამდენჯერმე და იქაც მომაკვდინებელი ლითონი ჩამოყარეს. სოფლის მხარეზე ნაშუადღევს კვამლიც დავინახე, ალბათ რაღაცას დასცემოდა ბომბი და ცეცხლი მოკიდებოდა.

შებინდდა თუ არა, სოფელს მივაშურე. ოტია უნდა მენახა და მისი დახმარებით ბილიკების მცოდნენი შემერჩია.

ბნელოდა, როცა სოფელს მივაღწიე. წავედი ოტიას სახლისკენ, მაგრამ იქ მხოლოდ ცარიელი ადგილი დამხვდა. მიმოვიხედე, თითქოს ნაცნობი ეზო იყო, მაგრამ სახლი მაინც არ ჩანდა, აი ის კაკლის ხე, ის ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი... მაგრამ თვითონ სახლი?

გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის... ოტიას სახლი ცეცხლს შთაენთქა, გარშემო ფერფლი ეყარა და აქა-იქ პატარა კვამლი ბოლავდა.

შორიახლო ვიღაც მამაკაცს მოვკარი თვალი და მისკენ გავწიე.

— რა მოხდა აქ? — ვკითხე გაოცებულმა, — სად არის ოტია?

მამაკაცმა შემდეგი მიამბო: მტრის თვითმფრინავმა დილით ბომბები ჩამოყარა სოფელში და რამდენიმე სახლი დაიწვა. ერთ სახლში, რომელსაც ცეცხლი მოედვა, ავადმყოფი იწვა. მისი გამოყვანის იმედი აღარავის ჰქონდა. ოთახიდან სასოწარკვეთილი ხმა ისმოდა, მაგრამ მიშველება ვერავინ ბედავდა. უეცრად იქ ოტია გაჩნდა. ალში გახვეული თავისი სახლისათვის რომ ვეღარ ეშველნა, მეზობლის დასახმარებლად გამოქცეულიყო. ოტია შევარდა ავადმყოფთან და მალე ზურგით გამოიტანა ის. მაგრამ გარეთ გამოვიდა თუ არა, მაშინვე უგრძნობლად მიწაზე დავარდა. სახე და ხელები დამწვარი ჰქონდა. მეზობლებმა იმავ წუთში საკაცე გაამზადეს, ზედ დააწვინეს და სოფლის საავადმყოფოში წაიყვანეს.

— ოტიას ცოლმა და შვილმა კი აი, იქ შეაფარეს თავი, — მითხრა ბოლოს და ერთ შენობაზე მიმითითა.

წავედი იქითკენ, შევაღე სახლის კარი და შევედი. დიდ ოთახში თავი მოეყარათ დედაკაცებს. ისინი მწუხარებას მოეცვა და მდუმარედ ისხდნენ. მათ შორის ფელიკოც იყო. დამინახა თუ არა, მძიმედ წამოდგა, ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა, შეეცადა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოზღვავებულმა მწუხარებამ და ცრემლებმა ხმის ამოღება არ აცალეს.

მალე ზურიაც დავინახე. ის კუთხეში მოკრუნჩხულიყო. ჩუმად, უძრავად იჯდა, ეტყობოდა, რომ მწარე ფიქრებს შეეპყრო. მწუხარებასთან ერთად თვალებში ბრაზი და გაბოროტება უელავდა.

სახლში სიჩუმე იყო. გარეთაც არაფერი არ არღვევდა საღამოს მყუდროებას. მხოლოდ ერთხელ, ისიც წუთით, თვითმფრინავის შორეული ზუზუნი მომესმა.

ხანგრძლივი დარჩენის საშუალება არ მქონდა. როგორც შემეძლო გავამხნევე ფელიკო, დავემშვიდობე მწუხარე დედაკაცებს და ჩემთვის საჭირო სოფლელების თავმოყრას შევუდექი. ეს საქმეც მალე მოვაგვარე. აძორჩეულ კაცებს დავავალე, საჩქაროდ ჩემთან, ნაწილში მოსულიყვნენ და უკანვე გავწიე.

დაბრუნებისას დავიარე ჩემი ნაწილის ყველა საფარი და კიდევ ერთხელ განვუმარტე მებრძოლებს, თუ როგორ ემოქმედნათ.

ამასობაში სოფლიდანაც მოვიდნენ.

— ყველა გამოცხადდა? — ვიკითხე მე.

— ყველა! — ხალისიანად შემეხ-

მიანა ერთი შუახნის კოლმეურნე. — მგონი მეტიც ვართ... ოტიას ბიჭიც წამოვიდა. გაიგო რისთვისაც მოვდიოდით და აგვეტირღიალა. არ გვინდოდა მისი წამოყვანა, მაგრამ არ მოგვშორდა.

— სადაა ზურაბი? — ვიკითხე მე, როცა მათ შორის ვერ დავინახე, — ახლავე მიპოვეთ!

ის საფარში დარჩენილიყო ნაცნობ არმიელებთან.

— შენ, რა თქმა უნდა, ყოჩაღი ყოფილხარ, რომ მამის მაგივრობა გინდა გასწიო, — ვუთხარი ზურაბს, როცა მომიყვანეს, — მაგრამ მაინც ახლავე დატოვე აქაურობა და სოფელში დაბრუნდი.

ზურაბი თავდახრილი მდუმარედ იდგა.

— დედაშენი მარტოა, მას ისედაც დიდი მწუხარება დაატყდა თავს და მოვალე ხარ მასთან იყო. წადი!

ზურაბი თავდახრილი და მდუმარედ იდგა.

— გარდა ამისა, — თავზე ხელი გადავუსვი და ალერსიანად ქოჩორი ავუშალე, — ბავშვის ადგილი აქ არაა. განა არ იცი, რა საშიშროება გელის?

— შინ დაბრუნდები ახლავე! — უკვე გულმოსულად მივაძახე. — გიბრძანებ!

ველარ გამიბედა სიტყვის შემობრუნება, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით გამშორდა. გავაყოლე თვალი და უნებურად ისევ ოტია მომაგონდა. ამ პატარა ბიჭს სულ მამის სიარული ჰქონდა, მიაბიჯებდა ოდნავი ქანაობით, მხრებაწეული, აუჩქარებლად.

— ზურია! — დავაწიე ხმა და, როცა ის შემობრუნდა, ალერსიანდ გადავძახე: — იმედი მაქვს მალე შევხვდებით ერთმანეთს და მაშინ ერთად წავიდეთ მამაშენის სანახავად!

არაფერი მიპასუხა, მხოლოდ წუთით შეჩერდა და, რა დარწმუნდა, რომ მეტის თქმას აღარ ვაპირებდი, განაგრძო გზა. ვგრძნობდი, რომ გულნატკენი მშორდებოდა.

შემოდგომის წყნარი ღამე იყო. ულრუბლო ცა უთვალავი ვარსკვლავით იყო მოჭედილი. როგორც ამ დროს ბუნებას წესად აქვს, ვარსკვლავები ხშირად სწყდებოდნენ ცას, გადაირბენდნენ, წუთით ნათელ კვალს დატოვებდნენ, შემდეგ ქრებოდნენ და სამუდამოდ იკარგებოდნენ უსაზღვრო სივრცეში.



ისევ ჯიუტად. ხმაამოუღებლად იდგა.

— გესმის, რა გითხარი? — უკვე წყრომით მივმართე მისი ურჩობით ნაწყენმა.

მხოლოდ მაშინ ასწია თავი და ჩაილაპარაკა:

— დამტოვე, მამა მადლობასაც გეტყვის შემდეგ...

ღამის სიბნელეს თვალი შეჩვეული მქონდა. გარკვევით ვხედავდი იმ მთას, რომელიც უნდა გაგვენთავისუფლებია. ისედაც მაღალი მწვერვალი ღამეში კიდევ უფრო მაღალი და პირქუში ჩანდა. მრავალი საშიში ადგილი უნდა გაგვევლო, სანამ მას მივაღწევდით. მკაცრი და დაუნდობელია მთის ბუნება, კლდეებში ყოველ ნაბიჯზე კაცს საფრთხე ელის,

მაგრამ ახლა უფრო ბოროტი მტერი იყო თვითონ ადამიანი, [illegible] მთის კალთებზე იარა[illegible] გა ჩვენს წინააღმდეგ.

დანიშნულ საათზე ჩემი ნაწილი იმ მთისკენ დაიძრა.

სულდგმულის ხმა არსად ისმოდა. ბუნებაც ყუჩდა. მხოლოდ ხანდახან ადამიანის ფეხით გარყეული ქვა მოსწყდებოდა ადგილს და ხმაურით უფსკრულში დაგორდებოდა.

გადავიარეთ თუ არა ჩქარი, პატარა მდინარე, ჯგუფებად დავყავი ნაწილი, თითოეულს გავაყოლე ბილიკების მცოდნე და ვბრძანე, ყველა ადგილიდან ერთბაშად იერიშზე გადასულიყვნენ, როგორც კი სროლას გაიგონებდნენ ჩვენი მხრიდან.

განთიადი ახლოვდებოდა. შეფერმკრთალდნენ ვარსკვლავები და შემდეგ ნელი-ნელ ქრობა იწყეს. ხევში ჯერ კიდევ ბნელოდა. ნათელის მოახლოება მხოლოდ ცას ეჩნეოდა. გარემომ ფერი იცვალა, უფრო გარკვევით გამოჩნდნენ მთები და, თითქოს ჰაერმაც გაიღვიძაო, სიო დაიძრა და ხეთა წვერები შეარხია.

ფრთხილად მიიწევდნენ მებრძოლები. თვალს ვადევნებდი ნაწილის მოძრაობას და იმედიანად ვიყავი. ფერდობის შუაგულს მე მივყვებოდი. მარჯვნივ მეორე ჯგუფი ციცაბოზე მიფოფხავდა. მარცხნივ მიმავალმა ჯგუფმა სწრაფად აიარა ერთი მეეული ადგილი და უფსკრულის თავზე ბილიკს გაჰყვა. ეს იყო ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე ღრმად უნდა შეჭრილიყო ზურგში. ჩემი ყურადღება წუთით მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ჯგუფში შევნიშნე ვიღაც პატარა ტანის კაცი. შორიდან ის ბავშვს უფრო ჰგავდა. თვალი გავაყოლე, მივაცქერდი, მაგრამ მან ქურციკივით აირბინა ბილიკი და მალე ხვევებთან ერთად კლდეს მიეფარა.

როგორც წინასწარ გამიზნული გვქონდა, შევჩერდით იმ ადგილთან, სადაც პატარა ტაფობი იწყებოდა. გარშემო ისევ სიჩუმე იყო. მებრძოლებს თვალი მოვავლე. მათ სახეებზე სიმტკიცე და გამბედაობა ისახებოდა. მჯეროდა, რომ ისინი არ შედრკებოდნენ.

მზის პირველი სხივი ავარდა ცაში, ვარდისფრად შეღება მწვერვალის თავზე ღამენათევი ღრუბლის ნაფლეთი და თითქმის იმავე დროს სროლა და ყიჟინა გაისმა.

ქვემეხების ჰექა-ქუხილი ს ა გ ა ნ მთები ირყეოდნენ. გვგონებოდათ, ცა და მიწა ჯოჯოხეთურ ცეცხლში იყო გახვეული. არაერთხელ ხელდახელ შებმაც დაგვჭირდა. მთელი დღე-ღამე გაგრძელდა ბრძოლა. მხო-

ლოდ მეორე დღეს, დილით, დაჰყარა მტერმა იარაღი და ყველა მაღლობზე ჩვენი ალამი აფრიალდა.

დავიარე ჩემი ნაწილი და ბოლოს მივედი იმ ჯგუფთან, რომელსაც მძიმე და სახიფათო დავალება ჰქონდა: ჩრდილოეთის მხრიდან შემოევლო მთა და მტერს იქიდან თავს დასხმოდა. რა სიხარულით შევხვდით ერთმანეთს მე და ჩემი მებრძოლები! როგორც საყვარელ ძმებს და შვილებს, ისე ვეხვეოდი მათ.



უეცრად დავინახე, რომ ხის ძირში ვიღაც იწვა მაზარაში გამოხვეული. ვიფიქრე, უბედურება ეწია-მეთქი და შემკრთალი მივაჩერდი. ჩემი შიში შენიშნა ერთმა ჯარისკაცმა და ღიმილით მითხრა:

— სძინავს, ამხანაგო მაიორო... დაიღალა საწყალი ბიჭი...

— ვინ ბიჭი? — ვკითხე გაოცებულმა.

— აი, ის პატარა, თქვენ რომ ბილიკების მაჩვენებლად დაგინიშნავთ მთავარ გამყოლთან ერთად...

მაშინვე მივხვდი, ვინც იქნებოდა. ერთი წუთით გავბრაზდი კიდევაც, მაგრამ რაღა დროს იყო...

— აი, შე ეშმაკო, შენა! — ჩავილაპარაკე და უნებურად გამეღიმა. — ხედავთ, როგორ მომატყუა!

დავიხარე და მაზარის კალთა ფრთხილად გადავხადე თავზე. რა თქმა უნდა, ზურაბი იყო. ლოყა ხელისგულზე დაედვა და, როგორც ბავშვებს ჩვევიათ, ღრმად და მშვიდად ეძინა.

— ძალიან დაიქანცა, — ალერსიანად დაჰყურებდა ჯარისკაცი, — კარგი სამსახური კი გაგვიწია... ისეთი ბილიკები სცოდნია, რომ...

თავი ვერ შევიმაგრე, დავიხარე და ვაკოცე.

მეორე დღეს ზურაბს შტაბში გამოვუძახე. ორჯერ დამჭირდა კაცის გაგზავნა მის მოსაყვანად. მერიდებოდა და არ მოდიოდა.

— მადლობას გიცხადებ! — ვუთხარი ზურიას, — მამაცობისათვის შენ ჯილდოს ღირსი ხარ, მაგრამ...

ბიჭმა იგრძნო, რომ დატუქსვას ვუპირებდი და თავი დახარა.

— რატომ არ შეასრულე ჩემი ბრძანება? მე ხომ გითხარი, რომ შინ დაბრუნებულიყავი? იცი თუ არა, რომ ვინც ურჩობას გასწევს, სასტიკად უნდა დაისაჯოს?

ზურიამ უფრო დაბლა დახარა თავი.

— დაუყოვნებლივ შინ გასწი! გესმის?

შეტრიალდა წასასვლელად, მაგრამ ხელი ვტაცე და მკერდზე მივიკარ.

— ახლა კი წადი, ჩემო ბიჭუნა, — ვუთხარი ბოლოს ალერსიანად, — მშობლები მომიკითხე. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს...

და აი, ისე მოხდა, რომ მხოლოდ ათი წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს.

სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ, როგორც იცი, ჩემს ძველ პროფესიას დავუბრუნდი.

ერთი კვირის წინ, სამსახურის საქმეების გამო, — დავალებული მქონდა ტყეების შემოვლა და გამოკვლევა, — ისევ მომიხდა სოხუმის ჩრდილოეთით იმ ადგილებში ასვლა, სადაც ოდესღაც ჩემი ნაწილი იდგა.

ცხენით მივდიოდი. ზაფხულის მზიანი დღე იყო. გზა ტყეში მიიმართებოდა. პირველად ვიყავი ამ ადგილებში იმ დროიდან, როცა მტრისგან ვიცავდით აქაურობას. არცთუ დიდ ხანს გაევლო იმის შემდეგ და მაინც რაღაც შორეულ მოჩვენებად, ავ სიზმრად წარმომიდგნენ ის მრისხანე, შავბნელი დღეები.

აღმართში ვიღაც ახალგაზრდა ცხენოსანი წამომეწია.

— შორს მიბრძანდებით? — მკითხა მისალმების შემდეგ.

ვუთხარი, სად და რისთვის მივდიოდი.

— მაშ ჯერჯერობით ერთი გზა გვაქვს, — თქვა უცნობმა მხედარმა, — აი, იმ ტაფობის ძირში დავშორდებით ერთმანეთს. იქიდან თქვენ მარცხნივ გაუხვევთ, მე კი პირდაპირ წავალ. პირველად ხართ ამ კუთხეში?

— არა, ნამყოფი ვარ, — ვუპასუხე, — მაგრამ მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა...

მხედარმა თანაგრძნობით გადმომხედა და შემომთავაზა:

— ძალიან საშურო საქმეზე მიმეჩქარება, კოლმეურნეები მელოდებიან აი იქ, ქვემო სოფელში, მაგრამ თუ შიშობთ, რომ გზას ვერ გაიგნებთ, ცოტაზე მაინც გაგყვებით...

უარი ვუთხარი და თანაც მადლობა გადავუხადე თავაზიანობისათვის.

მოხდენილი ვაჟკაცი იყო, პირველი შეხედვიდანვე მომეწონა, ხოლო იმ გულისხმიერების შემდეგ, რომელიც მან გამოიჩინა, კიდევ უფრო მიიზიდა ჩემი გული. ღონიერი, თავში გამწევი ზერდაგი ჰყავდა მას და ჩემს ცხენს ხან შოლტით და ხან ფერდებში ქუსლის შემორტყმით ვაჩქარებდი, რომ არ ჩამორჩენილიყო.

— აქაური ხართ? — ვკითხე თანამგზავრს.

— დიახ, აი იქ, ზევით ტაფობის თავზე რომ სოფელია, იქაური. ეს ერთი თვეა ვმუშაობ კიდევაც იქ... მარშან ზოოტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე. ერთ ხანს სოხუმში ვმუშაობდი, ახლა კი ჩვენს კოლმეურნეობაში გადმოვედი...

— მინახავს თქვენი სოფელი, ომის დროს ვიყავი იქ, — ვუთხარი მე, — ლამაზი ადგილია, ოღონდ...

მინდოდა მეთქვა, რომ მაღალზეა, მაგრამ მხედარმა სიტყვა ჩამომართვა და ხალისიანად წამოიძახა:

— ომის დროს! ახლა უნდა ნახოთ, თუ გინდათ მისი ნამდვილი სილამაზე და სიკეთე იგრძნოთ! ახლა სულ სხვაა ჩემი სოფელი. ისეთია, ავ თვალს არ ენახება. გაფართოვდა, გამშვენიერდა, დოვლათით აივსო! — წუთით დადუმდა და მერე დაუმატა: — თუ ჩვენსკენაც გექნებათ საქმე, პირდაპირ ჩემთან მოდით. სიამოვნებით დაგეხმარებით, თუ რაიმე დაგჭირდათ. ბინაც ჩემთან იგულეთ. ახალი სახლი გვაქვს, კარგად მოგასვენებთ. ადვილად მომაგნებთ, მესაქონლეობის ფერმის ბრიგადირი ოტია ესებუა იკითხეთ და მამაჩემის სახლს ყველა მოგასწავლით...

ამის გაგონებაზე გული შემიტოკდა. მივაშტერდი ჩემს თანამგზავრს, თითქოს თვალებიდან რიდე ჩამომეხსნაო, მაშინვე ვიცანი ვინც იყო, და ჯერ ჩუმად, შემდეგ კი ხმიანად შევძახე:

— ზურია!

მან გაოცებით შემომხედა, როცა თავისი სახელი გაიგონა.

რა თქმა უნდა, ის იყო, ის! ოდესღაც პატარა ზურია, ახლა მშვენიერი და ხალისიანი ვაჟკაცი!

— საიდან იცით რა მქვია? — მკითხა გაკვირვებულმა.

ისეთი გაოცებული იყო, რომ ცხენი შეაჩერა და ერთხანს გაშტერებით მიყურა.

— ვერ გაიხსენე ჩემი სახე? — ვკითხე ღიმილით. — მაშ იქნებ გაიხსენო, თუ როგორი ურჩობა გამიწიე ერთხელ, როცა მწვერვალის ასაღებად ჩემს ნაწილს გაჰყევი... ან იქნებ მამაშენი იგონებდა ხოლმე თავის მეგობარ მაიორს...

მან მაშინვე თავისი ზერდაგი მოაგდო ჩემს ლაფშასთან, უნდოდა გადამხვეოდა, მაგრამ ცხენი დაფრთხა და გახტა. გადმოხტა უნაგირიდან, მეც ჩამოვქვეითდი და მხურვალედ გადავეხვიეთ ერთიმეორეს. მღელვარებისაგან ერთხანს უსიტყვოდ შევხაროდით და შევყურებდით ერთმანეთს.

— რა მოხდებოდა შემდეგ, ეს თქვენთვისაც ადვილად გასაგები იქნება, — დაამთავრა ამბავი ჩემმა მეგობარმა მეტყევემ. — ზურიამ სიტყვა ჩამომართვა, რომ მოვრჩებოდი საქმეს თუ არა, ვესტუმრებოდი.

ვეწვიე კიდევაც. ზურაბმა მართალი მითხრა, — ძალიან გამოცვლილიყო იქაურობა. სიმდიდრე და კმაყოფილება იგრძნობოდა სოფელში. აი ოტიას კაკლისხე, ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი, ოღონდ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად ნაცარი და ფერფლი დავტოვე, ახლა ოდა იყო წამოჭიმული... როგორც დიდი ხნის უნახავ საყვარელ ძმას, ისე შემხვდნენ ფელიკო და ოტია. ქალმა წაიტირა კიდევაც სიხარულისაგან. განვლილ წლებს თავისი კვალი დაემჩნია ჩემს მეგობრებზე, განსაკუთრებით ფელიკოზე, — ძველი ჯანი აღარ ჰქონდა და, როგორც მოხუცობაში შესულ ადამიანს ჩვევია, წინანდელზე უფრო ალერსიანი და დამტკბარი იყო თითოეული მისი სიტყვა. ასეთი დატკბობა იცის ყველა კეთილმა ნაყოფმა, როცა შემოდგომა დაუდგება. ოტიას ძალზე მოჰრეოდა ჭაღარა, ლოყაზე ერთგან დამწვრის კვალი აჩნდა, სხვად კი იგივე იყო, რაც წინათ, — მხნე, ისევ ის კუშტი გამომეტყველება, ისევ ის დინჯი მოსაუბრე [illegible] მოტრფიალე. ჩვენ მრა[illegible] ვიხსენეთ წარსულიდან და ბევრი რამ ახალიც გავუზიარეთ ერთმანეთს. ცხოვრების ხალისი ჩანდა ოტიაში, სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდა სოფლის მომავალზე, თავის ფერმაზე, მეზობლებზე, შვილზე და თავის თავს ბედნიერ ადამიანად თვლიდა.

ორი დღე დავრჩი ჩემს კეთილ მასპინძლებთან. მესამე დილას დავემშვიდობე და გამოვბრუნდი. მამამ და შვილმა დაღმართზე ჩამომაცილეს და მთავარ გზამდე მომყვნენ. ისინი კიდევ დიდხანს იდგნენ ერთ ადგილას და ჩემკენ იცქირებოდნენ. როცა მოსახვევთან უკანასკნელად მოვიხედე, ისინი ხელების აწევით გამომეთხოვნენ, გააბრუნეს ცხენები და ჭენებით გასწიეს.

მოვდიოდი და სიხარული მომყვებოდა. ალბათ გამოგიცდიათ, კარგი თანამგზავრია სიხარული! ღირდა, რა თქმა უნდა, მრავალი გასაჭირი გადამეტანა წარსულში და თავიც გამეწირა, ოღონდ ისევ ხალისი შერჩენოდა ბევრ სხვა ოტიასაც და მომავალი არ დაჰკარგოდა მრავალ სხვა ზურიასაც. მოვდიოდი და გულს ემღერებოდა, თვალი ვერ ძღებოდა გარემოს სილამაზით. და განა მარტო მე, ის მწვანედ დაბურული მთები, ყოველი ხე და ბუჩქიც სიხარულის ხმას გამოსცემდა. მღეროდა მზეც, რომელიც ოქროდ გადმოღვრილიყო ამ მადლიან დედამიწაზე. არა, არასდროს არ დაცხრება ჩემი ქვეყნის მზე, არასდროს არ შეწყდება ჩემს ქვეყანაში ხალისი და სიმღერა!

**დაიბეჭდა „პიონერში“ 1954 წელს.**





XXV ყრილობის დელეგატმა ოთარ ლომიძემ მაია ქუფარაშვილს [illegible] ლადის დნოგაზე ბევრი [illegible] რამ უამბო.

ბულ ბაქანზე ხმაური მიწყდა. მე და ბებო მარტო დავრჩით.

სოფლამდე 5 კილომეტრი უნდა გაგვევლო. შარას აუჩქარებლად გავყევით, გზისპირა ჩრდილებს ვეტანებოდით.

ბორცვს იქით, შორს, ჩემი სოფელი გამოჩნდა. მზის შუქზე ოქროსფრად ელვარებდა კრამიტის სახურავები...

გზა ქალას მიჰყვა. გზის პირას, წყაროსთან, ბებერი თხმელის ჩრდილში ურემი შევნიშნე, მეურმე წასასვლელად ემზადებოდა. ძია არჩილი შორიდანვე ვიცანი. ნაბიჯს ავუჩქარე. მან გაჯიუტებულ ხარს რქაში ძალუმად წაავლო ხელი და უღელში შეაგდო, აპეური გამონასკვა, კამპო მსუბუქად ასწია და წინსადგარი გამოშალა.

— გამარჯობათ! — მივესალმე ძია არჩილს. შემოტრიალდა. მაშინვე მიცნო. სახე გაებადრა. — ამას ვის ვხედავ, — მკლავები გაშალა და მკერდში ჩამიკრა. — რა ქარმა გადმოგაგდო, აქ, მაიკო! შემდეგ ძია არჩილმა მე და ბებოს ახალ მოთიბულ ბალახზე ლაბადა გაგვიშალა, თვითონაც იქვე ჩამოჯდა. — შვებულებას აქ ვატარებ, ჩემს მოხუცებულ მშობლებს ვეხმარებიო, — გვითხრა.

ძია არჩილთან ერთად სოფელში რამდენიმე დღე გავატარე..."

თამარ ხელმძღვანელი განსაკუთრებულ ყურადღებას პიონერთა სწავლის ამბებს აქცევს.

— ხშირად ტარდება საგნობრივი კონკურსები, — გვიამბობს თამარი. — კონკურსს რაზმეულის საბჭო ხელმძღვანელობს, ხოლო მის მომზადებაში საგნის მასწავლებლები გვეხმარებიან. იგი ძირითადად სახალისო ვიქტორინის სახით ტარდება. რგოლი რგოლს ეჯიბრება. კითხვებზე პასუხი თითოეული პიონერის გონებამხვილობას, მოსაზრებულობას მოითხოვს. შემდეგ გამარჯვებული რაზმები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ფინალს ყოველთვის საზეიმო ხასიათი აქვს და მას ბევრი სტუმარი ესწრება ხოლმე.

პიონერები დიდი გატაცებით ეკიდებიან კონკურსისათვის მზადებას. მათ შეხვდებით ყველგან. თბილისის მუზეუმებში, რუსთავის პიონერთა სასახლეში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, ბიბლიოთეკებში, მეზობელ სკოლებში, საინტერესო პროფესიის ადამიანებთან მოსაუბრეთ... კონკურსის კითხვები ეხება პიონერულ მატიანეს, გეოგრაფიულ სახელებს, სიმღერების ავტორთა ვინაობას, თბილისის წარსულისა და აწმყოს ცოდნას, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის სიყვარულს... ლიტერატურულ ვიქტორინაში თემაზე „ჩემს გვერდით კომუნისტები ცხოვრობენ" მთელმა რაზმეულმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსის მზადებაში პიონერებს დიდი დახმარება გაუწია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაყვალა მეცხვარიშვილმა. მეტალურგთა ქალაქში მცხოვრებ კომუნისტებზე პიონერებმა მხატვრული ნარკვევები, ჩანახატები გააკეთეს. ჰოდა, თამარ ხელმძღვანელი რაზმეულის ცხოვრების მატიანეს გონების თვალით რომ გადახედავს ხოლმე, არქივსაც მოიშველიებს. ერთ წიგნად აკინძული მისი და რაზმეულის 15 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ამსახველი ფურცლებიდან პიონერთა ლიტერატურულ ნამუშევრებს გამოარჩევს, განსაკუთრებით კონკურსისათვის — „ჩვენს გვერდით კომუნისტები ცხოვრობენ" დაწერილ თემებს.

მაია ქუფარაშვილის ნამუშევარში შემდეგს ვკითხულობთ:

„...მატარებელი მოსახვევს მიეფარა და დაცალიერე-

მაია სარიშვილი ასე იწყებს თავის ჩანაწერს:

„ჩემი მეზობელი კონსტანტინე კოხრეიძე რუსთავის




„პატარა ჩვენც ვაწერთ ხელს!" სურათზე: ლეილა მჟავია, ნანა კევლიშვილი, მერაბ ქუფარაშვილი, მაია ქუფარაშვილი, თამარ საური.

მეტალურგიული ქარხნის პირველი სამმართველოს მშენებლობის უბნის უფროსია. მისი ხელმძღვანელობით აშენდა მარტენის მე-5, მე-6 და მე-7 ბრძმედები, ფოლადის ჩამოსასხმელი საამქრო. დიდი სურვილი მაქვს, ვიყო ისეთივე შრომისმოყვარე, როგორიც ჩემი მეზობელი, კომუნისტი კონსტანტინე კოხრეიძეა..."

ქეთევან ლაჩაშვილს კი თავის დედაზე დაუწერია: „ჩემი დედა კომუნისტია... მინდა ყველას ვამცნო, როგორი საამაყო დედა მყავს.

...1950 წელს, როცა ომგადახდილ სამშობლოს ჯერ კიდევ არ მოეშუშებინა ჭრილობები, დედაჩემი — მერი ჩუთლაშვილი, თბილისში ჩასულა, მე-6 სამკერვალო ფაბრიკაში დაუწყია მუშაობა. აქვე მიუღიათ კომუნისტური პარტიის რიგებში...

მე ვამაყობ ჩემი დედით და გადავწყვიტე დამეწერა მის შრომით თავდადებაზე. წარმოიდგინე, 25 წლის განმავლობაში დილაუთენია რუსთავიდან თბილისში სიარული... მას ბევრი ქების სიგელი აქვს მიღებული.

შუაღამეა. ყველას სძინავს. მე კი ვზივარ და დედაზე ვფიქრობ, ჩემს საყვარელ, მშობელ დედაზე..."

დოდო გოგინაშვილმა თავისი ჩანაწერი ცნობილ მეტალურგს ამირან ფანცულაიას უძღვნა:

„...საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შევდივარ. ჩემს თვალწინ საქართველოს ისტორიული წარსული ცოცხლდება. უძველესი ხანიდან დღემდე. ვფიქრობ ყველაფერზე, ძველზე და ახალზე. უცებ ნაცნობ გვარსა და სახელს ვაწყდები — ამირან ფანცულაია! გახარებული ვჩერდები მისი სურათის წინ. ამირან ფანცულაია ჩვენი დღევანდელი ცხოვრების თანამგზავრი კაცია, რომელიც ახალ ცხოვრებას სჭედს, კაცი, რომელიც მარტენის საამქროში ადამიანთა ბედნიერებისათვის იბრძვის. ვდგევარ მისი სურათის წინ და მეამაყება. ეს კაცი რომ ჩემს ქალაქში ცხოვრობს, ჩემს გვერდით. იგი შრომის გმირია. ეს მამაცი, ძლიერი ადამიანი ჩემი თანამედროვეა! მას, ქარხნისკენ მიმავალს, ყოველ დილით ვხედავ. მხიბლავს ამირან ფანცულაიას პიროვნება და ვფიქრობ: ასეთი უნდა ვიყო მეც — ძლიერი, სამშობლოსა და ხალხის წინაშე პირნათელი. ჩემთვის ვამბობ: შენ ნამდვილი ამირანი ხარ. კარგო კაცო, რა კარგია, რომ შენ ამირანი გქვია..."

თამარ ხელმძღვანელი რუსთავ-ქალაქის კომუნისტების ცხოვრების მაგალითებზე ძერწავს რაზმეულის წევრთა სულს. მის უბის წიგნაკში ჩამოთვლილია ახალგაზრდული და პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც იგი სისტემატურად კითხულობს: გაკეთებული აქვს ამონაწერები გაზეთებიდან, სადაც მოზარდებში მომავალი პროფესიის სიყვარულზეა ლაპარაკი.

თამარ ხელმძღვანელის ყურადღების ცენტრშია რაზმეულის შეხვედრები მეზობელი სკოლების სპორტულ გუნდებთან, მეგობრობის დამყარება სოფელ გამარჯვების პიონერებთან, ხელოვნების ფესტივალის მომზადება...

რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის პიონერებიც პატივს სცემენ უფროს მეგობარს, მასწავლებელსა და ხელმძღვანელს, პედაგოგს, მათსავით ალისფერყელსახვევიანს, რომელიც მუდამ წინ მიუძღვის რაზმეულს...

— ჩვენს გვერდით კომუნისტები ცხოვრობენ! მე და ჩემი რაზმეული მათს მზრუნველობას ვგრძნობთ, მათი დახმარებით ვახერხებ მომავალ კომუნისტთა აღზრდას, — ამბობს თამარ ზარქუა სკოლის პედაგოგთა, ქალაქის მოწინავე ადამიანთა მისამართით...

## ილოკანური ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპინებზე კუნძულ ლესონის ჩრდილო რაიონში ილოკანები ცხოვრობენ. ეს ხალხი ეწევა მიწათმოქმედებას. ილოკანები ფილიპინებზე ყველაზე მშრომელი და უაირათიანი ხალხია.

# როგორ ჩაიგდო ადამიანმა ხელში ცეცხლი

ოდესღაც ადამიანებს არ ჰქონდათ ცეცხლი. იმ ადგილს, სადაც ცეცხლი ენთო, ორი გოლიათი დარაჯობდა.

ხალხს ცეცხლი ძალიან სჭირდებოდა.

ერთმა მამაცმა ადამიანმა, სახელად ლან-ანგიმ, მოიფიქრა, თუ როგორ მოეტაცა ცეცხლი გოლიათებისათვის.

ლან-ანგი დიდი მეგობარი იყო ცხოველებისა, მან თავისი ჩანაფიქრი მათ გაანდო. ცხოველებმა მოუსმინეს და დახმარებას დაჰპირდნენ.

ლამ-ანგიმ სოფლის ახლოს ბაყაყი დასვა, შორიახლოს გარეული ცხენი, ძაღლი და კატა დააყენა, შემდეგ ლომი დააბრძანა.

ლამ-ანგი გოლიათებთან სტუმრად წავიდა და ნაკვერჩხალი სთხოვა, ადამიანებს ცეცხლი ძალიან ესაჭიროებათო.

გოლიათებმა უარი უთხრეს:

— ჩვენ ცეცხლის დარაჯობა დაგვაკისრეს, ნება არა გვაქვს პაწაწინა ნაპერწკალიც მივცეთ ვისმესო.

ლამ-ანგიმ ცხოველებს ნიშანი მისცა.

ლომმა დაიღრიალა, ცხენმა ჭიხვინი მორთო, ძაღლმა დაიყეფა, კატამ დაიკნავლა, ბაყაყმა დაიყიყინა.

გოლიათები გარეთ გამოცვივდნენ. ამ დროს ლამ-ანგიმ დასტაცა ხელი ნაკვერჩხალს და მოკურცხლა. მას გამოედევნენ გოლიათები. ის-ის იყო, უნდა დასწეოდნენ, მაგრამ ლამ-ანგიმ ნაკვერჩხალი ლომს გადაუგდო და უთხრა:

— აბა, ჩქარა, გაიქეციო!

ლომმა ნაკვერჩხალი თათში დაიჭირა და გაიქცა, მაგრამ დაიღალა და ძაღლს მიუგდო, ძაღლი გაიქცა, მაგრამ გოლიათები მაინც მისდევდნენ, ძაღლმა კატას გადასცა ცეცხლი, კატამ ცხენს. ცხენიც დაიღალა, გოლიათები უახლოვდებოდნენ ცხენს. ცხენმა დაუგდო ნაკვერჩხალი ბაყაყს და დაუყვირა:

— აბა, მეგობარო, დაუჩქარეო!

ბაყაყი სკუპ-სკუპით სოფლისაკენ გარბოდა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, გაიქცა და შეჯგუფულ ხალხში შეაგდო ნაკვერჩხალი, გოლიათები ბაყაყს დაეწივნენ და კუდი მოაგლიჯეს. ბაყაყი შიშისაგან თვალებგადმოკარკლული და უკუდო დარჩა.

ასე ჩაიგდეს ადამიანებმა ცეცხლი.

თარგმნა თ. ჯავახიშვილმა.




# თეატრი და ბავშვები

თეატრალური ხელოვნება მოსწავლე ახალგაზრდას უნვითარებს მხატვრულ გემოვნებას, შემოქმედებას, ფანტაზიას, მეტყველების კულტურას, მუსიკალობას და სხვა.

თეატრი მოსწავლე ახალგაზრდას აახლოებს ცხოვრებასთან, ეხმარება მას აითვისოს სიკეთე, სილამაზე, მშვენიერება, უარყოფითად შეხედოს ბოროტებას...

ესთეტიკური აღზრდა არა მარტო ამდიდრებს ბავშვს სულიერად, არამედ აკეთილშობილებს კიდეც მას.

თეატრის მიზანია დაეხმაროს სკოლას ნორჩი თაობის აღზრდაში, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაში. ცნობილი პედაგოგი სუხომლინსკი ამბობდა: „ბავშვების სწრაფვა ხელოვნებისადმი მართლაც დიდია, ისინი თითქმის დაბადებიდანვე რაღაცას თამაშობენ. თამაშის დროს ქვეცნობიერად ვილაცას განასახიერებენ, ვილაცას ბაძავენ და. მაშასადამე, ხდება მათში გარდასახვა.

თამაშის დროს იბადება ახალი „მე“ და ამ „მეს“ წყალობით აღიქვამენ გარემო ცხოვრებას. ბავშვის ამ შესაძლებლობას, ამ გარდასახვის უნარს ჩვენ, პედაგოგებმა უნდა მივცეთ გზა, უნდა ჩავაყენოთ ბავშვი საჭირო კალაპოტში და გავუფართოვოთ მას ცნობიერების გარემო, გავუფართოვოთ ცხოვრების აღქმის საზღვრები“.

ცნობილია, რომ ესთეტიკური აღზრდა არ არის გამოყოფილი მორალური აღზრდისაგან, ამიტომ თეატრში ყალიბდება არა მარტო მხატვრული გემოვნება ბავშვისა, არა მარტო ხდება ბავშვის მიერ ცხოვრების სწორი გაგება, არამედ ყალიბდება მისი მორალურ-ეთიკური სახე.

თეატრის დახმარებით მიმდინარეობს პროცესი პიროვნების ჩამოყალიბებისა. ბავშვს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მისაბაძი ობიექტი, ნამდვილ გმირად წარმოსახული პიროვნება. თუ ყოველ ნორჩს ასეთი გმირი ეყოლება, იგი თვითონ გახდება უკეთილშობილესი, აი, მაგალითად:

ბორის ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ახლახან დადგმულმა სპექტაკლმა—რაშკინის „ჯარისკაცურმა სიმღერამ“ (თეატრის კვირეულის ფესტივალში მონაწილე სპექტაკლია), რომლის მთავარი გმირია არკადი გაიდარი — ბევრი რამ შესძინა ბავშვებს.

პიესაზე მუშაობის დროს ისინი არ იფარგლებოდნენ მხოლოდ პიესაში მოცემული ამბებით, არამედ სწავლობდნენ, იმ დროის მონაკვეთებს, რომლებშიც მოღვაწეობდა მათი გმირი, სამოქალაქო ომიდან დაწყებული სამამულო ომის ჩათვლით. სწავლობდნენ არკადი გაიდარის ბიოგრაფიას, გადაიკითხეს მისი მრავალი ნაწარმოები, მსჯელობდნენ პერსონაჟებზე, მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე, არჩევდნენ სპექტაკლის ავ-კარგიანობას... ყველაფერი ეს, ჩემი აზრით, ბევრი სიკეთის მომტანია ბავშვის აზროვნების სფეროს განვითარებისათვის, ბავშვის ფანტაზიის განვითარებისათვის, ურომლისოდაც ადამიანს არ შეუძლია ეზიაროს ხელოვნებას.

ლენინი ამბობდა, რომ ფანტაზია უაღრესად ძვირფასი ნიჭია, ამიტომ ფანტაზიის განვითარებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბავშვებო, თეატრში, ისევე როგორც სკოლაში, შეგიძლიათ ბევრი რამ ისწავლოთ, ბევრი რამ დაინახოთ.

რამდენ საინტერესოს აღმოაჩენთ, რამდენ მშვენიერებას გაიცნობთ, რამდენ საოცრებას შეხვდებით. გიყვარდეთ, ბავშვებო, თეატრი, გიყვარდეთ ხელოვნება.

თამარ თეთრაძე,

რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი, პიონერული თეატრის რეჟისორი.

## თეატრი — ჩემი დღესასწაული

თეატრში ისე მივდივარ, როგორც დღესასწაულზე, აღელვებული ვარ, მთელი დღე ვემზადები. ვიცვამ ყველაზე საყვარელ კაბას და ვცდილობ მეც საზეიმო იერი მქონდეს.

რატომ ხდება ასე? იქნებ იმიტომ, რომ თეატრი ყველა ჩვენგანში რაღაც ამაღლებულ ფიქრებსა და განცდებს აღძრავს ხოლმე!

ან იქნებ იმიტომ, რომ სცენაზე განსახიერებული ამბავი ყოველდღიურობისაგან შორს არის, ლამაზი, ამაღლებული და რომანტიკულია!

ალბათ ამიტომაც იყო, რომ პირველმა წასვლამ თეატრში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში.

თეატრი ჩემი საყვარელი ადგილია და ყველა მსახიობი არაჩვეულებრივ ადამიანად მიმაჩნია.

ამ ბოლო დროს ვნახე „კავკასიური ცარცის წრე“. ძალიან მომეწონა რამაზ ჩხიკვაძე მოსამართლის როლში და მაინც ჩემი საყვარელი მსახიობია ოთარ მეღვინეთუხუცესი.

მზია კოზერიძე,

34-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.



15 წლის კაპიტანი.
ჯუმბერ ვაშაკიძე. 12 წლის.

# ოცნება ამისრულდა

თეატრი ჯერ კიდევ პატარაობიდანვე მიტაცებდა. მშობლებთან ერთად ხშირად დავდიოდი თოჯინებისა და სხვა თეატრებში. განსაკუთრებით მომწონდა „გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში". ვოცნებობდი მონაწილეობა მიმეღო რომელიმე სპექტაკლში.

და აი, ასრულდა ჩემი დიდი ხნის ნატვრაც, ჩვენი სკოლის დრამატული წრის რეჟისორმა პატივცემულმა მ. ვაშაკიძემ მიმიწვია სპექტაკლ „ჩხიკვთა ქორწილში", სადაც მთავარი როლი უნდა შემესრულებინა.

დაუღალავი, ერთობლივი შრომის შედეგად მივაღწიეთ წარმატებას. VII რესპუბლიკურ დათვალიერებაზე სპექტაკლმა ბრინჯაოს მედალი მიიღო, ხოლო მე სიგელით დამაჯილდოვეს.

1974 წელს ისევ შევხვდით ჩვენს საყვარელ რეჟისორს უკვე ახალ სპექტაკლში, ეს იყო ვ. ფშაველას „ტყის კომედია", სადაც გამოვდიოდი ცელქას სახასიათო როლში (მთავარ როლებში გამოდიოდნენ: რ. ნოზაძე, მ. გოგავა, მ. გვარჯალაძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ჯიღოლაშვილი და სხვები). ამ სპექტაკლში თავი მოვიყარეთ, როგორც ძველმა, ისე ახალმა მონაწილეებმა: ა. ქვარიანმა, ნ. ნინოშვილმა, ც. ბედიანაშვილმა, ხ. ნანობაშვილმა, გ. გოიაევმა, ა. ადუაშვილმა და სხვებმა.

ჩვენთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობდა და გვხელმძღვანელობდა რეჟისორი მ. ვაშაკიძე. იგი არაფერს იშურებდა, რათა ჩვენ სასურველი შედეგისთვის მიგვეღწია, და მართლაც, VIII რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ჩვენმა სპექტაკლმა ოქროს მედალი მოიპოვა. მ. ჭანიშვილს და ნ. ნანობაშვილს როლის კარგი შესრულებისათვის ოქროს მედლები მიანიჭეს. ვერცხლისა წილად ხვდათ ნ. ნინოშვილსა და მ. გვარჯალაძეს. სამმა კი ბრინჯაოს მედალი მივიღეთ — ტ. ბედიანაშვილმა, დ. ჭიღოლაშვილმა და მე.

რა თქმა უნდა, უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული;

პაატა ჩემია,
მე-4 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა სპექტაკლიდან: „ჯარისკაცური სიმღერა". ნორჩი მსახიობები: ლ. ლომთათიძე და გ. არუთინოვი.

# დღევანდელი ბავშვი და მოზარდ მაყურებელთა თეატრი

საბავშვო თეატრის კვირეული თბილისში პირველად მოეწყო და, მე მგონი, დადებითი შედეგიც გამოიღო, რადგან სპექტაკლების შემდეგ ეწყობოდა პიესის გარჩევა, მოქმედ პირთა შეფასება, საუბარი იყო მხატვრობაზე, მუსიკაზე, ყველაფერი ეს კი ბავშვს საშუალებას აძლევს იაზროვნოს უფრო სალად და ნათლად.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბავშვებთან და ბავშვებისათვის მუშაობა მეტად რთული და საპასუხისმგებლოა. ის მოზრდილ ადამიანთან შედარებით უფრო უშუალოდ აღიქვამს ყოველივე დანახულს და უფრო მკაცრადაც სჯის. ჩვენც, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობებსაც ძალზე გვირთულდება ესა თუ ის როლი გადავცეთ ისე, რომ ნორჩი მაყურებელი სწორად ჩასწვდეს გმირის ხასიათს, გაერკვეს მის ავკარგში.

რატომ? — ამ კითხვაზე აი, რას გიპასუხებთ: დღევანდელი მოზარდი თაობა, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის ჯერ არნახული პროგრესის პირობებში ვითარდება და იზრდება, არ ჰგავს უწინდელ ბავშვს, რომელსაც მხოლოდ სათავგადასავლო და ზღაპრის პრინციპებზე დადგმული სპექტაკლები აინტერესებდა. დღეს ისინი დადიან აკადემიურ თეატრებში, უყურებენ საგასტროლოდ ჩამოტანილ სპექტაკლებს, ტელევიზიას, კინოს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხედავენ ახალს, საინტერესოს. რა თქმა უდნა, ისინი მოითხოვენ უფრო მეტს, ვიდრე ხედავენ. ამიტომაც ბავშვთა თეატრის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მე ვფიქრობ, სასარგებლო იყო, როგორც მოზარდი მაყურებლისათვის, ასევე მსახიობებისათვისაც. ჩვენ საშუალება მოგვეცა გაგვეგო, თუ როგორ გაიგეს მათ ესა თუ ის სპექტაკლი, რა მოსწონდათ, რა არ აკმაყოფილებდათ.

განხილვებსა და კამათში მათი პედაგოგებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, ეს კი, რა თქმა უნდა, უფრო ნათელს ხდიდა ჩვენი სპექტაკლების ავ-კარგიანობას.

მე, მაგალითად, სურვილი მაქვს ყოველწლიურად ეწყობოდეს ასეთი კვირეულები, რადგან ჩვენთვის, მსახიობებისათვის, მოზარდ მაყურებელთან ასეთ ახლო ურთიერთობა-კონტაქტებს დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს.

თ. ესიაშვილი,
მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე და თეატრი

დიდი ილია წერდა: თეატრი იგივე სკოლაა, რომელმაც ხალხის კულტურულად აღზრდისა და ეროვნულად გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოსო. და მართალიც იყო. თეატრის ვალია აღზარდოს ადამიანი მორალურად, ჩამოაყალიბოს სულიერად, ამხილოს და სააშკარაოზე გამოიყვანოს საზოგადოების მანკიერი მხარეები.

იშვიათია ადამიანი, რომელსაც თეატრი არ უყვარდეს, მეც ძალიან მიყვარს ქართული თეატრი და ალბათ ამიტომაც არის, რომ თითქმის არც ერთ ახალ სპექტაკლს არ ვტოვებ უნახავს. როგორც ყველა ადამიანს, მეც მყავს საყვარელი მსახიობები და მაქვს საყვარელი სპექტაკლები. ყველაზე ძალიან მაინც კომედიები მომწონს. ჩვენ სკოლაში ძალიან ხშირად იდგმება სპექტაკლები, ბევრ მათგანში მონაწილეობაც მიმიღია. ამას წინათ ჩვენს სკოლაში ჩატარდა თეატრის კვირეულისადმი მიძღვნილი საღამო. ამ საღამოზე მოვიდნენ მსახიობები ე. მაღალაშვილი, რ. კიკნაძე, მ. სარაჯიშვილი, თეატრის მხატვარი თავაძე და სხვები, ისინი გვესაუბრნენ თავიანთ შემდგომ გეგმებზე. ჩემზე ამ საღამომ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**ნანა თოიძე,**
65-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.



ეკა ბეჟუაშვილი. 12 წლის.



მზია ციციკაშვილი. 10 წლის.



გია მარიამიძე. 10 წლის.

# აქ იბადება სიყვარული...

პარტერში ბნელა, ირგვლივ მაყურებლები სხედან, რომელთა არსებობას ახლა ვერც ამჩნევ. გულისყური მიპყრობილი გაქვს სცენისაკენ...

ვინ იცის, რამდენი ასეული წლის მანძილზე უჭედიათ აქ სიყვარული, მეგობრობა, ადამიანობა, სიცოცხლე; ვინ მოთვლის, აქ რამდენი დაცემულა მამაცთა სიკვდილით, რამდენი შეპყრობილა საუკუნო სიყვარულით ან მატიანის რამდენი თავფურცელი გადაშლილა, და გაცოცხლებულან ისტორიული პიროვნებანი.

ბევრ ჩვენგანს ხვდომია წილად ბედნიერება, პირადად გაცნობოდა თეატრში პიესის გმირებს, ეხარა თუ ენაღვლა მათთან ერთად, დაფიქრებულიყო იმ პრობლემაზე, რაც წამოაყენეს რეჟისორმა და დრამატურგმა.

თითოეული ადამიანი თავისებურად აღიქვამს ხელოვნების ამ დარგს, სხვადასხვა დამოკიდებულებაშია მასთან. ზოგიერთისთვის ეს უბრალო სანახაობაა, ზოგისთვის — მაგალითი ცხოვრებაში, ზოგი — უბრალოდ თეატრალია, ზოგმა კი მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მას უძღვნა.

ჩემს მიერ ნანახ წარმოდგენებს შორის, რომლებზედაც ყველაზე მეტად შევიგრძენი მაყურებლისა და მსახიობების ერთიანობა, ერთ-ერთია მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგმული „წითელქუდა“.

... თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. წითელქუდა მღეროდა და თამაშობდა თავის მეგობრებთან — მამალთან, ძაღლთან და სხვებთან ერთად. ბავშვებსაც და მსახიობებსაც გაბადრული სახეები ჰქონდათ. და აი, სცენაზე გამოვიდა პატარებისათვის ყველაზე საშიში და უბოროტესი არსება — მგელი. დარბაზი ჯერ დაიძაბა, შემდეგ ატყდა ჩურჩული, აქა-იქ შეძახილიც გაისმა — პარტერიდან წითელქუდას აფრთხილებდნენ — მგელი გიახლოვდება, გაიქეციო... რა უნდა ექნა „წითელქუდა-მსახიობს“, რომელიც თამაშობდა თავის როლს, — უნდა ეკრიფა ყვავილები და უეცრად თავზე წამომდგარი მგლისა უნდა შეშინებოდა? უყურადღებოდ დაეტოვებინა ბავშვების აღტყინება თუ მართლაც ეშველა თავისთვის? ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა — წითელქუდამ, ვითომ შემთხვევით, უკან მოიხედა და... დარბაზმაც ამოისუნთქა. ჩემს მორიახლოს მჯდომმა პატარა ბიჭუნამ კი, რომელიც შიშისაგან აბუზულიყო და ფეხები სავარძელზე შემოეწყო, სასოწარკვეთით მიმართა დედიკოს: „წავიდეს მგელი, ცუდია!“

აი, ასე იწყება პირველი გაცნობა თეატრთან. მისი ჯადოსნური სამყარო დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზიდავს ადამიანს, იჭრება მის ყოველდღიურობაში, მისი ერთგული მეგობარი და მრჩეველი ხდება. ასეთი მეგობარი კი ყოველთვის საჭიროა, განსაკუთრებით კი ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის.

ამ ბოლო დროს ამბობენ—თეატრს მაყურებელი ეკარგებაო. განა ეს ასეა? აბა გაიარეთ რუსთაველის გამზირზე, იმ საღამოს, როდესაც რუსთაველის სახ. თეატრში „ყვარყვარე“, „ლალატი“ ან „კავკასიური ცარცის წრე“ გადის. აბა, მარჯანიშვილის ან გრიბოედოვის თეატრებში შეიხედეთ, როდესაც „იეთიმ გურჯს“, „ძველ ვოდევილებს“ „ურიელ აკოსტას“, „ენერგიულ ადამიანებს“, ან „შეხედულებას“ უჩვენებენ. ამ საღამოებში თეატრებთან ხომ ტევა აღარაა?

დიახ, თანამედროვე მაყურებელი დადის თეატრში, დადის, რათა იპოვოს პასუხი იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც მის წინაშე წამოიჭრებიან, რათა სცენიდან თავისი ეპოქის გამოძახილი გაიგონოს, გაეცნოს თეატრის კოლექტივის ახალ შემოქმედებით ნამუშევარს, შეხვდეს საყვარელ მსახიობს. აქ უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ ზემოაღნიშნული სპექტაკლების წარმატებას განაპირობებს დრამატურგისა და რეჟისორის საინტერესო ჩანაფიქრი, მსახიობთა ოსტატობა, მუსიკალური და მხატვრული გაფორმება, რომელთა შერწყმა და სრულყოფა ხდება ერთ სპექტაკლში.

ამასთან ერთად, შეუძლებელია, არ იქნას გათვალისწინებული ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლის შესახებ დიდი კოტე მარჯანიშვილი წერდა — „თეატრის რეპერტუარი მეტწილად ეპოქის თანახმიერი უნდა იყოსო“.

ჩემი და ჩემი თანატოლების სურვილია სისტემატურად იმართებოდეს საბავშვო თეატრიალური შეჯიბრებები, და რომ, ბავშვთა ესთეტიკური და მორალური აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს მოზარდ მაყურებელთა თეატრთან ერთად უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ თბილისის სხვა თეატრებმაც.

მერი ტორაძე.

67-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



ლევან ბუჩუკური 6 წლის.

აქ დაბეჭდილი ნახატები გამოფენილია ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენი უცხოელი თანატოლები

### ბელგიელ პიონერთა კავშირი

ეს პროგრესული საბავშვო ორგანიზაცია, ბელგიის კომპარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს. 1953 წელს ბელგიის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე გადაწყდა პიონერთა კავშირი დამოუკიდებელ ორგანიზაციად გამოეყოთ.

პიონერთა რიგებში შესვლისას ბავშვები პირობას დებენ, რომ ყველგან და ყოველთვის პიონერები იქნებიან, ეს კი ნიშნავს: „იყო დისციპლინიანი და ინიციატივიანი, გამოაწრთო შენი მარჯვენა და სხეული, გიყვარდეს სამშობლო და იყო მსოფლიოს ყველა ხალხის საქმის ერთგული, პატივი სცე მათ, ვინც ამ ქვეყანას აშენებს“. ასე წერია ბელგიელ პიონერთა წესდებაში და ამ პრინციპების თანახმად ცხოვრობენ, სწავლობენ და იღწვიან ისინი.

ბელგიელი პიონერები ძირითადად მუშათა შვილები არიან, ბავშვობიდანვე იციან, როგორი გაჭირვებით ცხოვრობს უბრალო ხალხი, ბევრი მათგანი უმუშევართათვის გამოყოფილ პაწია გასამრჯელოთი ცხოვრობს.

გაფიცული რკინიგზელების, მეშახტეების, პოლიტიკურ პატიმართა ოჯახების დასახმარებლად ბელგიელი პიონერები ხშირად აგროვებენ ფულს, პროდუქტს. ასე ებმებიან პატარაობიდანვე მუშათა კლასობრივ ბრძოლაში.

პიონერებს თეთრი პერანგები აცვიათ და შავი შარვლები ან ქვედა კაბები, ატარებენ წითელ ყელსახვევებს და სამკერდე ნიშნებს (ოქროს ფონზე სამი ალისფერი ენა — სამი თაობის კავშირის სიმბოლო).




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №4

## ქ ვ ი რ ფ ა ს ო  რ ე დ ა ქ ც ი ა ვ!

შესაძლოა, თქვენი ჟურნალის ფურცლებზე გაშლილ დისკუსიაში მე არ უნდა ვიღებდე მონაწილეობას, რადგან უკვე ხუთი წელია, რაც საშუალო სკოლა დავამთავრე, და მაინც მინდა „პიონერის“ მეშვეობით ორიოდე სიტყვა ვუთხრა ჩემს უმცროს, წითელყელსახვევიან მეგობრებს.

პირველი კლასიდან მეშვიდე კლასამდე თანაკლასელებს არ ვუყვარდი. რატომ? იმიტომ, რომ დავალებებს არავის გადავაწერინებდი. მართალია, მასწავლებლები სათანადოდ აფასებდნენ ჩემს მუყაითობას სწავლაში, მაგრამ ამხანაგების ამრეზილ ყურებას მძიმედ განვიცდიდი. და აი მეშვიდე კლასიდან მთლიანად შევიცვალე. მათემატიკის საგნებში დავალებებს კლასშივე ვიყვანდი და ყველას ვაძლევდი გადაწერის უფლებას. ამის შემდეგ მთელი კლასის სათაყვანებელი გავხდი. სკოლაში რომ მივიდოდი, სიხარულით შესძახებდნენ ხოლმე: ჩვენი ტვინიკო მოდისო. ასეთი შეხვედრა უსაზღვროდ მიხაროდა. ახლა კი, რომ დავფიქრდები ხოლმე, ძალზე ვნანობ ამას, რადგან ამხანაგებს დახმარების ნაცვლად, ვღუპავდი. მე არ ვიყავი მათი ნამდვილი მეგობარი. ამიტომაც ვამტყუნებ თამრიკოს.

„აისის“ მკითხველთა გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ათასწილ სჯობს მასწავლებელს სთხოვო პატიება დავალების შეუსრულებლობისათვის, ვიდრე მზამზარეული დავალების გადაწერით ტყუილის თქმას, სიზარმაცესა და მუქთახორობას დაეჩვიო, რასაც ყოველთვის სავალალო შედეგი მოსდევს ხოლმე.

**მერი მიდელაშვილი,**
მცხეთის რაიონის სოფ. ქსოვრისი.

## ჩვენს წერილებს რომ წაიკითხავენ...

მე და ჩემი თანაკლასელები ჯერ კიდევ ოქტომბრელები ვიყავით, ერთმანეთს რომ ვეხმარებოდით სწავლაში. არცერთ ჩვენგანს სხვისაგან გადაწერილი საშინაო დავალება არ უჩვენებია მასწავლებლისთვის, არ შეუყვანია იგი შეცდომაში.

ჩვენ რაზმის შეკრებაზე განვიხილეთ „აისში“ გამოქვეყნებული ორი წერილი. ყველამ ერთხმად დავგმეთ ნანასა და თამრიკოს საქციელი. გვწამს, რომ, როცა „პიონერში“ გამოქვეყნებულ თანატოლთა წერილებს წაიკითხავენ, მათ რაზმსა და რაზმეულში ასეთი რამ არ განმეორდება.

**ნინო წერეთელი,**
ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე...“

თამრიკოს უნდა მოვაგონო დიდი ილიას ნათქვამი:

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე, —
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო:
„აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

თამრიკო, ალბათ, ერთხელაც არ ჰკითხავს თავის თავს, რა გააკეთა ამხანაგებისათვის სასარგებლო, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ. ან იქნებ გადაწერინება ჰგონია დახმარება? არა სჯობია კი, — ალგებრის რვეულის ნაცვლად მათ მზრუნველი ხელი გაუწოდოს, აუხსნას გაუგებარი საკითხები, წინ წამოსწიოს, მოწინავეთა რიგებში ჩააყენოს?

ნამდვილი მეგობარი შეიძლება ვუწოდოთ ნანას. იგი ცდილობს მეგობარს დამსახურებული ნიშანი მიაღებინოს. აფრთხილებს, მეტს აღარ გადაგაწერინებო, მაგრამ მისი მეგობარი ყოველივე ამას ხუმრობად მიიჩნევს. ხოლო როცა ალგებრაში „ორიანს“ მიიღებს, ნანას თვლის დამნაშავედ, გაებუტება. არა უშავს, მე მგონი, შეიგნებს თავის არასწორ მოქმედებას და მეტ ბეჯითობას გამოიჩენს მათემატიკურ საგნებში.

**მზიური რეხვიაშვილი,**
ამბროლაურის რაიონის ურავის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

## ვიმსჯელეთ, ვიკამათეთ

ჩვენი სკოლის პიონერებმა ვიმსჯელეთ ნანასა და თამრიკოს საქციელზე. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა.

მე კი ვიტყოდი, რომ არც ნანა არის ჭეშმარიტი მეგობარი და არც თამრიკო.

როცა ავად გავხდი, ჩემი მეგობარი რუსუდან ობოლაშვილი ყოველდღე მაკითხავდა შინ, მიხსნიდა ახალ გაკვეთილებს. საშინაო დავალებას მე ვასრულებდი, რუსიკო კი თვალყურს მადევნებდა. თუ სადმე შევცდებოდი, ამიხსნიდა. ამ დახმარებამ ისე წამახალისა, რომ მას შემდეგ უფრო უკეთ დავიწყე სწავლა, ოთხოსანი გავხდი. ახლა თვითონ მე ვეხმარები სხვებს. ასეთია ნამდვილი მეგობრობის ნაყოფი.

**რამაზ ნანიაშვილი,**
ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.

## გახსოვდეთ!

ნანა, მართალია, ხშირად ეუბნებოდა გ. თ-ს, მეტს აღარ გადაგაწერინებო, მაგრამ ხომ შეეძლო ასე ეთქვა: „მეტს აღარ გადაგაწერინებ, იმიტომ, რომ სჯობს შენ თვითონ სცადო დავალების ამოხსნა. თუ გაგიძნელდება, დაგეხმარები, აგიხსნი". ნანა კი ასე არ მოიქცა. ჰოდა, მას გ.თ.-ს მეგობრად ვერ ჩავთვლი.

რაც შეეხება თამრიკოს, იგი ნანაზე გაცილებით უარესად იქცევა.

მაგონდება მწერალ ა. რიბაკოვის სიტყვები:

„გახსოვდეთ! ცხოვრება ხღვასა ჰგავს. თუ მარტო შენი საკუთარი თავისათვის იზრუნებ და შენთვის იცხოვრებ, უვარგის ნავში მჯდომ მეთევზეს დაემსგავსები, წყალმარჩხ ნაპირს რომ ვერ გასცილებია და გახვრეტილ ნავში შემოჭრილ წყალს ჩვრებით აკავებს. თუ ხალხისათვის იცხოვრებ — დიდი [illegible] თვალუწვდენ სივრცეში გახვალ, ვერავითარი ქარიშხალი ვერ შეგაჩერებს. მთელი სამყარო გადაიშლება შენს წინ! შენ ამხანაგისთვის იქნები, ამხანაგი კი შენთვის".

იქნებ ნანასა და თამრიკოს ბევრი რამ ენიშნოთ ამ შეგონებიდან!

მანანა ვაშაყმაძე,

ვანის რაიონის ზედაგორის 8-წლიანი სკოლის VIII კლ. მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღრმად მწამს...

ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ორი წერილი, რომლებშიც ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვაგვარად არის დანახული და შეფასებული, მართლაც რომ დამაფიქრებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევა ხშირად ხდება ჩვენს ირგვლივაც.

განსაკუთრებით ძლიერ ამაღელვა პირველმა წერილმა, რომლის ავტორი სახელისა და გვარის დაწერას რატომღაც ერიდება.

ერთის მხრივ მე სიბრალულს და ლმობიერებას ვიჩენ ამ მოსწავლის მიმართ, რომელმაც მთელი მეოთხედის განმავლობაში ოროსანის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროს. მაგრამ ნუთუ მას არ ეთაკილებოდა მათხოვრული, (სხვანაირად რა ვუწოდო არ ვიცი) თხოვნა, დავალება გადამაწერინეო. მე ასეთი საქციელი კაცის თავმოყვარეობის შელახვად მიმაჩნია.

ნუთუ ნანას, როცა ის მეგობარს ხელში აძლევს თავის ნაშრომს, ერთხელ მაინც არ გახსენებია ფიცი, რომელიც მან ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რიგებში შესვლის დროს დადო?! ნუთუ მას დაავიწყდა, თუ როგორი მტკიცე ხასიათი ჰქონდათ ზოია კოსმოდემიანსკაიას, პავკა კორჩაგინს და სხვა გმირებს, რომლებმაც თავი დასდეს ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ბედნიერებისათვის.

მე ღრმად მწამს რომ ზოია კოსმოდემიანსკაია თავის ამხანაგებს არასოდეს დავალებას არ გადააწერინებდა და არ უკარნახებდა დაფასთან საპასუხოდ გასულ მოსწავლეს და არც თვითონ გადაიწერდა სხვებისაგან. სამწუხაროდ, ყველა წარჩინებული მოსწავლე როდი იქცევა ასე.

თუ ლია და ქეთინო თამრიკოსაგან გადაწერილი დავალებით დღეს „გადარჩნენ" ორიანის მიღებას, ამით ისინი თავის თავს ავნებენ, და არა მარტო თავიანთ თავს, არამედ პიონერულ ორგანიზაციასაც და ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანასაც. ჩვენს სამშობლოს სჭირდება ნასწავლი ადამიანები: ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, მუსიკოსები და სხვადასხვა დარგის განათლების მქონე ადამიანები. ჩვენ კი, თუ ასე მოვიქცევით, ცხადია კარგი სპეციალისტები ვერ გავხდებით.

მაია ბრეგვაძე,

ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის IV რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

## ჩვენ ასე ვეხმარებით

სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები, სამწუხაროდ, ჩვენს კლასშიც არიან. მათ დასახმარებლად რაზმში შევქმენით საგუშაგო „ცოდნის სამყარო". ამ საგუშაგოს წევრი მეც ვარ. როცა გასული წლის „პიონერის" მე-12 ნომერი მივიღე, იქ „აისის" ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ორმა წერილმა ჩამაფიქრა. მეორე დღეს ის წერილები საგუშაგოს ყველა წევრმა წაიკითხა. გაიმართა სჯაბაასი.

„ვინ არის ნამდვილი მეგობარი, ნანა თუ თამრიკო?" — ამ კითხვაზე ჩვენი ერთსულოვანი პასუხი ასეთია: არც ნანა არის კარგი მეგობარი და არც თამრიკო. ნანა მეშვიდეკლასელი ყოფილა, მაშასადამე, იგი უკვე ოთხი წელია, პიონერის ყელსახვევს ატარებს, მაშ რატომ გაახსენდა ასე გვიან პიონერის მოვალეობა? თამრიკოს ჰგონია, მეგობრებს ვეხმარებიო, სინამდვილეში კი პირუკუ გამოსდის.

ჩვენ, „ცოდნის სამყაროს" წევრები, ჩამორჩენილ ამხანაგს მზამზარეულად კი არ გადავაწერინებთ ხოლმე ამოხსნილ ამოცანებსა და მაგალითებს, არამედ გაუგებარს გავაგებინებთ, გავარკვევთ მისთვის ძნელად ასათვისებელ მასალაში. ჩვენი აზრით, ნამდვილი დახმარება და მეგობრობაც ეს არის.

ნინო ეხვაია,

ქ. ზუგდიდის მე-3 საშაულო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## მწარედ ინანებენ

ნანა ამაოდ იმართლებს თავს. განა არ ხედავდა, რომ მისი მეგობარი დამოუკიდებლად ვერ სძლევდა დავალებებს ალგებრაში? რატომ მანამდე, სანამ მეოთხედის ნიშნის მიღების საქმე წყდებოდა, არ იზრუნა ჩამორჩენილ თანაკლასელზე?

და მაინც, ჩემი აზრით, ნანა უკეთესად მოქცეულა, ვიდრე თამრიკო, ტყუილად ჰგონიათ ლიასა და ქეთინოს — თამრიკო ჩვენი ნამდვილი, გულშემატკივარი მეგობარიაო. თუ ახლავე არ ჩაუფიქრდნენ ამას, მერე მწარედ ინანებენ ორივენი.

თამარ ჯაბუა,

ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

# ჯადოსნური ბეჭედი

ზ ღ ა პ ა რ ი



იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. იგი ძლიან ბევრს მუშაობდა, მაგრამ მაინც ყველაზე ღარიბი იყო. ერთ დღეს გლეხი მინდორს ხნავდა, უეცრად ერთი უცნაური ქალი აღიმართა მის წინ და უთხრა:

— შენ, ასე გულმოდგინედ და უშედეგოდ რომ შრომობ, კარგად დამიგდე ყური, გაიგონე, რასაც გეტყვი. აი, ამ გზას ხომ ხედავ, პირდაპირ თუ ორ დღეს იელი, მიადგები ერთ დიდ მუხას. ეს მუხა დგას მარტოდმარტო და ყველა ხეზე მაღალია. მოჭერი იგი და იქ იპოვი შენს ბედნიერებას. — თქვა ეს ქალმა და გაუჩინარდა.

გლეხკაცმა აიღო ცული და გზას გაუდგა. ორი დღის სიარულის შემდეგ, მართლაც მივიდა იმ ადგილას, სადაც განცალკევებით იდგა დიდი მუხა.

ეხლა კი ვხედავ, რომ იმ ქალმა მართალი მითხრა—როგორც მირჩია, ისე უნდა მოვიქცე, — თქვა გლეხკაცმა და საქმეს შეუდგა. როდესაც მოჭრილი ხე ძირს დაეცა, ხის კენწეროდან ჩიტის ბუდე გადმოვარდა, რომელშიც ორი პაწაწინა კვერცხი იდო. ერთი კვერცხიდან ოქროს ბეჭედი გადმოგორდა, მეორედან კი მშვენიერი ჩიტი გამოიჩეკა. ჩიტუნამ სწრაფად დაიწყო ზრდა. იმხელა გაიზარდა, რომ გლეხს შეეშინდა კიდეც, მაგრამ მშვენიერმა ფრინველმა მეგობრული ხმით მიმართა:

— შენ მე მიხსენი ტყვეობიდან — ამიტომ მე მსურს მადლობა გადაგიხადო. მე გაჩუქებ ამ ჯადოსნურ ოქროს ბეჭედს. ბეჭდის თვალი შენსკენ უნდა შემოაბრუნო და რაიმე ინატრო, მაგრამ ფრთხილად იყავი და კარგად მოიფიქრე შენი სურვილი, რადგან ბეჭედს შეუძლია ერთი ნატვრა აასრულოს მხოლოდ. ამის შემდეგ იგი თავის ძალას კარგავს და ჩვეულებრივ ბეჭდად იქცევა, — ამ სიტყვებით მშვენიერი ფრთოსანი გაფრინდა და გლეხკაცს ჯადოსნური ბეჭედი დაუტოვა.

გლეხმა გაიკეთა თითზე ბეჭედი და სახლისაკენ გასწია. ქალაქში რომ მივიდა, შევიდა ოქრომჭედელთან და ბეჭედი გაუწოდა: — აბა ერთი მითხარ, რა ფასი აქვს ამ ბეჭედს? — ჰკითხა გლეხმა.

— სრულებით არაფერი, — უთხრა ოქრომჭედელმა.

გლეხმა ხმამაღლა გაიცინა და უთხრა: შენ ვერაფერიც ვერ გაიგე, ეს განა ჩვეულებრივი ბეჭედია, იგი ჯადოსნურია. ამიტომ იგი უფრო მეტი



ღირს, ვიდრე შენი ბეჭდებიო.

ოქრომჭედელი ძალიან მდიდარი და ბოროტი კაცი იყო. მან გლეხს რამდენიმე ბოთლი ღვინო დაუდგა და მეგობრული საუბარი გაუბა. გვიან ღამით, როცა გლეხკაცმა ღრმა ძილს მისცა თავი, ოქრომჭედელმა მას ბეჭედი შეუცვალა. გარეგნულად ბეჭდები არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. დილით ოქრომჭედელი მოუთმენლად ელოდა სტუმრის წასვლას. როგორც კი გლეხკაცი თვალს მოეფარა, ოქრომჭედელი დუქნისაკენ გაეშურა, ჩაკეტა ყველა კარი, დარაბა, შემოატრიალა თითზე ბეჭედი და ისურვა:

— მე მინდა მქონდეს ასი ათასი სოვერინი.

ოქრომჭედელმა ვერ მოასწრო ნატვრის დამთავრება, რომ სოვერინების წვიმა წამოვიდა. მონეტები მას ხელებზე, თავზე, მხრებზე, მთელ სხეულზე ეცემოდნენ. იგი კარებისაკენ მიიწევდა, მაგრამ ფულის წვიმამ გზა გადაუღობა. სულ მალე ოქრომჭედელი მონეტებში აღარ ჩანდა. მას განძრევა აღარ შეეძლო. ოთახმა ოქროს სიმძიმეს ვერ გაუძლო და ოქრომჭედელი მონეტებიანად სარდაფში აღმოჩნდა. როგორც კი მეზობლებმა ხმაური გაიგეს, მოირბინეს და კარები შეამტვრიეს, მაგრამ გვიან იყო. ოქრომჭედელი მკვდარი

დახვდათ. როდესაც მეზობლებმა ოქრომჭედლის უბედურება დაინახეს, თქვეს — რა უბედურებაა გქონდეს ამდენი ფული.

ამასობაში გლეხი სახლში მიკიდა და მეუღლეს აჩვენა ჯადოსნური ბეჭედი. — ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ, მომავალი უზრუნველყოფილია, მაგრამ ნატვრის არჩევაში ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, — უთხრა მან მეუღლეს. ქალს ესიამოვნა ქმრის საჩუქარი და უთხრა: — მოდი, ვინატროთ ცოტა მეტი მიწის ნაკვეთი. აი ის, ჩვენ ორ მინდორს შორის რომაა, რას იტყვი?

— ძალიან კარგი ნატვრაა, — თქვა გლეხმა, — მაგრამ თუ ჩვენ უფრო ბევრს ვიმუშავებთ, ერთი წლის შემდეგ ისედაც შევძლებთ იმ მიწის ნაკვეთის ყიდვას...

— ეგ მართალია, მაგრამ ხომ შეიძლება ვისურვოთ, რომ საკუთარი ძროხა და ცხენი გვყავდეს, ეს ხომ შრომას გაგვიადვილებს.

— ჩემო კეთილო მეგობარო, — უთხრა გლეხმა მეუღლეს, — მოდი ჩვენს ნატვრას ასეთ წვრილმანებზე ნუ დავხარჯავთ. ისევ გულმოდგინედ ვიშრომოთ და ნაკვეთსაც ვიყიდით, ცხენსაც და ძროხასაც.

ერთი წლის შემდეგ მათ მართლაც შესძლეს ეყიდათ ნაკვეთი, ძროხაც და ცხენიც. კმაყოფილი გლეხი მეუღლეს ეუბნებოდა:

— რა ბედნიერი ხალხი ვართ, ჩვენი სურვილი კვლავაც ჩვენია. მაგრამ მისი მეუღლე არ იყო კმაყოფილი და გაბრაზებულმა უთხრა: — ეს რა ახირებაა, ნამდვილად არ მესმის, ყველაფერს აუტანელი შრომით აღწევ. დილიდან საღამომდე წელში მოხრილი მუშაობ და მეც მამუშავებ. ამ შრომაში გადის ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები, მაშინ, როდესაც შენ შეგეძლო ყოფილიყავი დიდი ადამიანი, გქონოდა უამრავი ოქრო შენს სარდაფებში. ეხლა კი არაფერიც არა ხარ, იმიტომ, რომ



ძალა არ შეგწევს გადაწყვიტო რა გსურს.

— შეწყვიტე წუწუნი, — უთხრა გლეხმა მეუღლეს. — მე და შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვართ, ცხოვრება კი წინაა. გახსოვდეს, რომ ბეჭედში მხოლოდ ერთი ნატვრაა. ძალიან ადვილია შეცდომის დაშვება და, თუ შეცდომას დავუშვებთ, ჩვენზე უბედური არავინ იქნება. არა, არა, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯადოსნურ ბეჭედს. ის ბედნიერებას მოგვიტანს. მოითმინე, ჩემო კარგო, დამშვიდდი და უკეთესი ნატვრა ამოირჩიე.

გლეხკაცის ნათქვამი სრული ჭეშმარიტება იყო. ისინი ბედნიერები იყვნენ, მაგრამ არა ბეჭდის წყალობით, არამედ ხანგრძლივი და მძიმე შრომის შედეგად.

გადიოდა წლები, ბავშვები იზრდებოდნენ, მაგრამ გლეხკაცი მტკიცედ იცავდა თავის ნატვრას. თითიდან არ იცილებდა ბეჭედს, მაგრამ არასოდეს არაფერი არ ჩაუთქვამს.

გავიდა 30-40 წელი. გლეხკაცი და მისი მეუღლე ძალიან მოხუცდნენ, თმა დაეთოვლათ. ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდნენ, სანამ ერთ დღეს ორივენი არ მიიცვალნენ. შვილებმა და შვილიშვილებმა მოხუცები დაიტირეს, ერთმა შვილმა მოინდომა ოქროს ბეჭდის აღება, როგორც სახსოვრისა, მაგრამ უფროსმა ძმამ უთხრა:

— არა, ნუ აიღებ მაგ ბეჭედს, დაე ისევ მათ ჰქონდეთ! მათ ხომ ასე ძალიან უყვარდათ იგი, იქნებ, როდესაც ისინი ახალგაზრდები იყვნენ, დედამ აჩუქა მამას ეგ ოქროს ბეჭედი?

ამგვარად, თავისი საყვარელი ბეჭედი, რომელმაც ამდენი ბედნიერება მოუტანა გლეხკაცს, შვილებმა თითზე დაუტოვეს. გლეხკაცი მთელი სიცოცხლე დარწმუნებული იყო, რომ მისი ბეჭედი ჯადოსნურია, სინამდვილეში კი მას ჩვეულებრივი ოქროს ბეჭედი ეკეთა ხელზე.

ამაზე უთქვამს ხალხს, ცუდი ნივთი კარგი ადამიანის ხელში საუკეთესოა, ხოლო კარგი ნივთი ცუდი ადამიანის ხელში უვარგისიაო.

ინგლისურიდან თარგმნა
ქეთევან ვარდიაშვილმა.

მხატვარი ი. სამსონაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე გონიერი ცხოველები

აზროვნებას დედამიწაზე დიდი ხნის ისტორია როდი აქვს, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი პლანეტა დაახლოებით ხუთი მილიარდი წლის წინათ წარმოიშვა, სიცოცხლემ კი იგი დაახლოებით სამი მილიარდი წლის წინათ დაამშვენა. მაგრამ ჰომო-საპიენსი ანუ მოაზროვნე ადამიანი, დედამიწას მხოლოდ 50-70 ათასი წლის წინათ მოევლინა. განვითარების ამ შედარებით მოკლე პერიოდის მანძილზე ადამიანმა მთლიანად დაიპყრო დედამიწა და მნიშვნელოვნად დაიმორჩილა ბუნების ძალები. მაგრამ თანამედროვე ადამიანის ინტელექტს თავისი წინამძღვრები გააჩნდა და მას ბუნება ჰქმნიდა. აზროვნების წინარე ისტორიას წარმოადგენდა ცხოველთა სამყაროში ფსიქიკის ხანგრძლივი განვითარება; მის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გონიერი ადამიანის ტვინის ფორმირება.

მოსაზრებას ადამიანის აზროვნების ნათესაობის შესახებ ცხოველთა ფსიქიკასთან ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ გამოთქვამდა; ძველი ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი პლუტარქე კი სთვილდა, რომ ცხოველები გონიერი არსებანი არიან და ადამიანზე ნაკლებ როდი აზროვნებენ. განა ფრინველთა საოცარ გონებაზე არ მეტყველებს ის ფაქტი — მსჯელობდა პლუტარქე, რომ გარეული ბატები ტავრზე გადაფრენისას არწივების შიშით პირში მოზრდილ კენ-

ჭებს იდებდნენ, რათა არ ეყიყინათ და ამით მტაცებელთა ყურადღება არ მიექციათ? ანდა რა მოხერხებულად ჩაუდებს ხოლმე რვაფეხა მოლუსკებს ნიჟარებს შორის ქვას, რითაც მოლუსკებს საშუალებას არ აძლევს დახურონ თავიანთი ,,სახლი''.

ცხოველთა მოქმედება ხშირად ადამიანის გონიერ ქცევას გვაგონებს. ასე მაგალითად, განსაცვიფრებელია ტექნი-



შიმპანზე

კა, რომლითაც ფუტკარი ფიჭას აშენებს, ფილიგრანულია ობობას მიერ გაბმული ქსელი, უმაღლეს ინჟინრულ დონეზეა გადაწყვეტილი აფრიკაში ტერმიტთა ბუდეები, რომელთა დიამეტრი ზოგჯერ ათეულ მეტრს აჭარბებს. რაშია საქმე? ნუთუ ცხოველთა მოქმედება ადამიანთა მოქმედებასთან უნდა გავაიგივოთ? იქნებ განსხვავება მხოლოდ საშენ მასალაშია? ამ კითხვებზე უაღრესად მარტივად და ნათლად გასცა პასუხი კარლ მარქსმა. ,,...ფუტკარი თავისი ცვილის უჯრედების აშენებით პირდაპირ არცხვენს ზოგიერთ არქიტექტორ — ადამიანს. — წერს იგი ,,კაპიტალში'', — მაგრამ ყველაზე ცუდი არქიტექტორიც კი ყველაზე საუკეთესო ფუტკრისაგან პირველადვე განსხვავდება იმით, რომ ვიდრე ცვილის უჯრედების აგებას დაიწყებდეს, მას უკვე აგებული აქვს იგი თავის გონებაში''.

და მაინც მთელი რიგი ფაქტები, ექსპერიმენტები მოწმობენ, რომ ბიოლოგიური ,,კიბის'' ზედა საფეხურზე ისეთ ცხოველებსაც ვხვდებით, რომელთაც აზროვნების ჩანასახი გააჩნიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესონი არიან ხმელეთზე — უმაღლესი მაიმუნები, ანუ პრიმატები, ხოლო ზღვაში — დელფინები.

გონიერ მაიმუნთა ტრიუმვირატი — შიმპანზე, გორილა და ორანგუტანგი დიდი ხანია იქცევს ადამიანთა ყურადღებას არა მარტო გარეგნული მსგავსებით, არამედ ადამიანის მსგავსი ქცევებითაც. ესენია: საერთო გარეგნობა, სახის გამომეტყველება, კვების მანერა, თამაშები, ძილი, ჩხუბი, შთამომავლობისადმი დამოკიდებულება და ა. შ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

უმაღლეს მაიმუნებთან ჩვენი ახლო ნათესაობის საკითხი არაერთხელ გამხდარა სატირისა და იუმორის საგანი.

პრიმატები მართლაც რომ ჩვენი სისხლით ნათესავები აღმოჩნდნენ, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამ მაიმუნების სისხლს ვერ არჩევდნენ ადამიანის სისხლისაგან. სისხლის იგივე ჯგუფი, პლაზმის იგივე ცილები...

გავეცნოთ სამეულთაგან ყველაზე პოპულარულსა და უკეთ შესწავლილს შიმპანზეს.

მთავარი და სადაო დიდი ხნის განმავლობაში იყო ამ ცხოველის მიერ ამა თუ იმ საგნის იარაღად გამოყენების საკითხი: ხმარობს კი შიმპანზე საჭიროების მიხედვით იარაღს? აღმოჩნდა, რომ ხმარობს. ტერმიტების მოსანადირებლად შიმპანზე ხშირად იყენებს ბალახის ღერს, ანდა ტოტს. აცლის მას ფოთლებს, ნერწყვით კარგად დაასველებს და შეჰყოფს ტერმიტების სახლის ერთ-ერთ ხვრელში. ტერმიტები მყისვე დაეხვევიან უცხო საგანს, ეკვრიან წებოვან ნერწყვს; მაიმუნი სარგებლობს ამით, გამოაქვს გემრიელი ლუკმა გარეთ და შეექცევა. ასეთივე წესით მოიპოვებს და შეექცევა ფუტკართა ბუდეებიდან თაფლს. აღნიშნული ფაქტი, როგორც მკვლევარი ჯეინ ვან ლოვიკ-გუდოლი აღნიშნავს, შიმპანზეს აზროვნების პირველი დოკუმენტირებული ფაქტია. გარეული ცხოველი არა მარტო უბრალოდ იყენებს საგანს როგორც იარაღს, არამედ, საგრძნობლად გარდაქმნის მას თავის მოთხოვნილებათა მიხედვით. ეს უკვე იარაღის დამზადების ჩანასახის ნათელი დემონსტრირებაა.

ადამიანი ყოველთვის ითვლებოდა იარაღის დამამზადებელ ერთადერთ არსებად. და მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განსაზღვრება ღაღადებს — ადამიანი ეს არის ,,იარაღის გარკვეული გეგმით დამამზადებელი არსება''. მაგრამ შიმპანზე ხომ არავითარი წინასწარმომზადებული გეგმის მიხედვით არ მოქმედებს? მიუხედავად ნათქვამისა, იარაღის პრიმიტიულად დამზადებაზე დაკვირვებებმა და ექსპერიმენტებმა ბევრი მეცნიერი სულ სხვა აზრამდე მიიყვანა... საჭიროა ადამიანის, როგორც სახეობის უფრო ზუსტი განსაზღვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოჩენილი ანთროპოლოგის პროფ. ლუის ლიკის სიტყვებისა არ იყოს, იძულებულნი ვიქნებით შიმპანზე ვცნოთ ადამიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ცხოველთა აზროვნებაზე ვმსჯელობთ, იარაღის გამოყენებაზე უფრო მნიშვნელოვანია ამა თუ იმ შექმნილ სიტუაციაში გარკვევის, უფრო სწორად, სიტუაციის შეფასების საკითხი. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ტროპიკული აფრიკის უღრან ტყეში ნახევრადმოთვინიერებულ შიმპანზეებზე დაკვირვებისას ამ ცხოველებს კვებავდნენ ბანანებით. შიმპანზეების საზოგადოებაში დადგენილი უფროს-უმცროსობის წესის მიხედვით, ჯერ კმაყოფილდებიან ფიზიკურად უფრო ძლიერი ინდივიდები. ამიტომ ხშირად საშუალო ასაკისანი და მოზარდები მშივრები რჩებიან. ასე რომ არ მომხდარიყო, ძირითადი სამზარეულოს გარდა, ბანანებს ხეებზე მალავდნენ. მოუსვენარი ახალგაზრდები შედარებით ადვილად მიეჩვივნენ მათ მიგნებას და პირს იგემრიელებდნენ. ერთხელ, მას შემდეგ, რაც შიმპანზეების ჯგუფმა დაამთავრა სადილობა, მოზარდმა მამრმა შეამჩნია სხვების მიერ შეუმჩნეველი ბანანები, მაგრამ მათი მაშინვე აღება შეუძლებელი იყო. ხის ქვეშ იჯდა ზრდასრული მამრი — ჯგუფის წინამძღოლი. სწრაფად შეავლო რა თვალი წინამძღოლს, მოზარდი ადგა და გადაჯდა სხვა ადგილას, საიდანაც ნაყოფს ვეღარ დაინახავდა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ წინამძღოლი ადგა და წავიდა. მაშინ კი მოზარდი ელვის სისწრაფით ავარდა ხეზე და სწვდა ბანანებს. შემდეგში ანალოგიური დაკვირვებებით სრულიად ნათელი გახდა, რომ ზოგიერთი მოზარდი დროულად ერკვეოდა მდგომარეობაში — ისინი სწორად აფასებდნენ სიტუაციას. კერძოდ, ზემოაღწერილი კონკრეტული ვითარებისას, მოზარდი შიმპანზე რომ ნაყოფის დანახვისთანავე ასულიყო ხეზე, წინამძღოლი აუცილებლად წაართმევდა ბანანებს. არც ადგილზე დარჩენა ივარგებდა — სული წასძლევდა, დროდადრო გახედავდა ბანანებს და მათ ადგილსამყოფელს ბოლოს და ბოლოს თვალებით გასცემდა. ამიტომ, იგი დროებით გაეცალა გემრიელ ლუკმის ადგილსამყოფელს. უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველის მხრიდან ეს, პირდაპირ, საოცარი მოქმედებაა!

დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ შიმპანზე სარკეში ცნობს საკუთარ გამოსახულებას. ამ უნარს სხვა ცხოველები მოკლებულნი არიან. სარკეში თავის გამოსახულებას მიშტერებულ შიმპანზეს, სახელად უოშოუს ჰკითხეს: (რა თქმა უნდა, ჟესტების ენით), ,,ვინ არის ეს?'' მაიმუნმაც იმავე ენით მშვიდად უპასუხა: ,,მე, უოშოუ''. ეს შეიძლება მივიჩნიოთ იმ ფაქტის კიდევ ერთ რეალურ დადასტურებად, რის შესახებ ადრეც იცო-

დნენ მეცნიერებმა: შიმპანზეს ეღვიძება პრიმიტიული თვითშემეცნება.

შიმპანზეს ახასიათებს კონკრეტულ სიტუაციასთან შეგუებულობისა და, ამასთან დაკავშირებით, ქცევების ცვალებადობის უნარიც. ცნობილია, — უმაღლესი მაიმუნები ავადდებიან თითქმის ყველა იმ ინფექციური დაავადებით, რითაც სნეულდება ადამიანი. ესეც მათი ახლონათესაობის დამადასტურებელია. ერთ-ერთი დაავადებაა პოლიომიელიტი. და აი, იმავე აფრიკის პირობებში ეს საშინელი ეპიდემია ადამიანთა ადგილობრივი ტომისაგან გადაედო შიმპანზეებსაც. ზოგი დაიხოცა, ბევრიც საშინლად დამახინჯდა. დამახინჯებულებს შორის იყო ერთი მამრი, რომელსაც ჯგუფში წინამძღოლის შემდეგ ერთ-ერთი გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. საშინელი სენისაგან მას ხელის დამბლა მოუვიდა. მასზე ნაკლებად ძლიერ მამრს ეს მხედველობიდან როდი გამორჩა. მან გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით და განემტკიცებინა თავისი ავტორიტეტი. ძალისა და მოხერხებულობის მთელი სერიების დემონსტრირებით უკანასკნელმა მალე მიაღწია საწადელს: ცოტა ხნის წინათ რანგით მაღლა მდგომი მამრი სრული მორჩი-



როდენის „მოაზროვნე"

ლების ნიშნად გამარჯვებულს პირველი ესალმებოდა, თავს დაბლა უკრავდა და ა. შ., მაგრამ საკმარისი იყო იგი მომაგრებულიყო და რამდენადმე აღედგინა ფიზიკური ძალა, რომ მას კვლავ თავისი ადგილი დაეკავებინა ჯგუფში.

შიმპანზეები შესანიშნავი მშობლები არიან. ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში, სადაც მაიმუნთა ქცევებს სწავლობდნენ, მეცნიერები განსაცვიფრებელი ფაქტის მოწმენი გახდნენ. შიმპანზეს ახალშობილი შვილი არ სუნთქავდა. მაშინ დედამ იგი მიწაზე დააწვინა, ტუჩები გაუხსნა და თითებით ენა გამოუწია. ამის შემდეგ პირი პირთან მიუტანა და მანამდე უბერავდა სულს, ვიდრე პატარამ სუნთქვა არ დაიწყო. საერთოდ დედები შთამომავლობის მიმართ საოცრად ყურადღებიანი, ალერსიანი და მზრუნველები არიან, განსაკუთრებით პირველი ხუთი თვის მანძილზე. იშვიათად ვხვდებით გამონაკლისებსაც. შიმპანზეს კარგად აქვს განვითარებული ნათესაობის გრძნობაც: ერთი მშობლის შთამომავლობა სიკვდილამდე ერთმანეთიან მეგობრობს, ისინი საოცრად სოლიდარულნი არიან ლხინისა და გაჭირვებისას. უფროსი შიმპანზე უშუალოდ მონაწილეობს უმცროსი და-ძმის აღზრდაში, დედის დაღუპვის შემთხვევაში კი ყურადღება უმალვე მშობლიური გრძნობით იცვლება.

ადამიანსა და მის ახლო ნათესავებს შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება მეტყველების უნარშია. შიმპანზეს ლაპარაკი ვერასგზით ვერ შეასწავლეს. მიუხედავად ამისა, შიმპანზეები ყვირილითა და ბგერებით გადასცემენ ერთმანეთს სიხარულის, გაჭირვების, სიამოვნების,



შიმპანზე.

წყენისა და სხვათა გამომხატველ სრულიად სხვადასხვა ინფორმაციას. და რაც მთავარია, ბგერითი ლექსიკონის აღდგენა ხდება საოცრად განვითარებული ჟესტიკულაციით და პოზებით. იეროგლიფების მსგავსად, თითოეული მათგანი აქ შეესატყვისება არა ცალკეულ ბგერებს ან სიტყვებს, არამედ მთელ წინადადებებს.

რა უდევს საფუძვლად შიმპანზეების ასეთ ქცევებს? ამ საკითხით დაინტერესებულმა ამერიკელმა მეცნიერმა რ. იერკსმა თავის წიგნა უმაღლ[illegible] შესახებ „თითქმის ა[illegible]" ინგლისელმა ჯეინ ვან ლოვიკ-გუდოლმა შიმპანზეების შესახებ — „ადამიანის ჩრდილში" უწოდეს. ის ფაქტი, რომ აზროვნების ჩანასახმა ყველაზე მაღალ განვითარებას სწორედ მაიმუნებში და არა სხვა ცხოველებში მიაღწია, აიხსნება უმაღლეს მაიმუნთა სამეულის არსებობის თავისებურებით. ეს არის მომთაბარე და ჯგუფური ცხოვრება, ორგვარი საცხოვრებელი გარემო — ხეები და მიწა, ყოველგვარი საკვებით კვება, ყველაფერმა ამან განაპირობა მაღალგანვითარებული მაიმუნთა რთული ქცევები, რომელსაც რაღა თქმა უნდა, ადამიანის აზროვნებას ვერ გავაიგივებთ. ვერ გავაიგივებთ მას უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ადამიანის აზროვნება, როგორც ეს გენიალურად განსაზღვრა ენგელსმა, გამოირჩევა მიზანდასახულობით, წინასწარდასახული გეგმის მიხედვით ამ მიზნის განხორციელებით, ყველა სხვა მაღალგანვითარებული ცხოველის აზროვნება კი კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული აზროვნებაა. მათი გაიგივება კი ყოვლად დაუშვებელია.

ევოლუციური განვითარების გზაზე ადამიანმა მიაღწია წარმოუდგენელ მწვერვალებს. თავისი ინტელექტით ადამიანმა დაჩრდილა შიმპანზე, მაგრამ ასეთივე წარმატებით იგივე შეიძლება ითქვას შიმპანზეზეც: რთული გამოცანების გადაწყვეტით, იარაღის გამოყენებითა და დამზადებითაც კი, მრავალმხრივი ურთიერთობის უნარითა და, დაბოლოს, თვითშემეცნების ჩანასახით იგი „ჩრდილავს" სხვა ცხოველებს. თუ არ გადაშენდა, ვინ იცის, რა გახდება შიმპანზე მილიონობით წლის შემდეგ?

დაბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანსა და შიმპანზეს შორის არსებული განსხვავების მთელი სისრულით წარმოსადგენად, აუცილებელია მათ შორის მსგავსების ხარისხის ბოლომდე ჩაწვდომა. აი, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ობიექტურად შევაფასოთ ადამიანის ბიოლოგიური და ინტელექტუალური უნიკალურობა.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ახალი წიგნები

გურამ პეტრიაშვილი

## „წვიმა პატარა ქალაქში“




ახალგაზრდა მწერალს გ. პეტრიაშვილს უკვე იცნობს ჩვენი ჟურნალის მკითხველი. მისი საბავშვო მოთხრობები და ზღაპრები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

ამჯერად მწერალმა ყველა დაბეჭდილი მოთხრობა და ზღაპარი ერთად შეკრიბა და ცალკე წიგნად გამოსცა საერთო სათაურით — „წვიმა პატარა ქალაქში“.

მართლაც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ წიგნში მოთხრობილ ამბებში ხშირად მოდის წვიმა. ქვეყნად არიან ადამიანები, ვისთვისაც წვიმა მხოლოდ უსიამოვნო სისველეა, რომელმაც შეიძლება გააციოს და ავად გახადოს, ან ძვირფასი ტანსაცმელი გაუფუჭოს. წვიმამ თუ მოუსწროთ სადმე, მაშინვე გახსნიან შავ ქოლგებს, თავზე დაიფარებენ და შინ მიიჩქარიან ბუზღუნით.

მათ ავიწყდებათ, რომ წვიმა, თუმც უბრალო წყალია, მაგრამ წყალია ციდან მოსული, რომელსაც ფერად-ფერადი ყვავილები ამოჰყავს, ცისარტყელებს ანთებს ქალაქის თავზე.

ავიწყდებათ ისევე, როგორც ეს დაემართა ერთ წვიმისმოყვარულ კაცს, რომელმაც მთელი ქალაქი ყვავილებით აავსო, ჩიტებსა და ბავშვებს, ყველას სიხარული და ბედნიერება მოჰგვარა, წვიმისა და სიცოცხლისადმი სიყვარულით აღანთო. გაახალისა ყოველივე და ყველაფერი, მაგრამ ბოლოს იმ კაცსაც სიზარმაცე მოეძალა, ჩვეულებისამებრ, დილაუთენია ველარ შეეგება წვიმის მოსვლას და ამ ერთი დაუდევრობით საქმე გააფუჭა...

გ. პეტრიაშვილის ზღაპრებში მოთხრობილია უცნაურ. კეთილშობილ კაცუნებზე და ადამიანებზე, რომელთაც სასიკეთო საქმეებისათვის შეუწირავთ თავი. ისინი თავისთვის, ჩუმად მოღვაწეობენ, შრომობენ, მღერიან და უკრავენ, ართობენ ბავშვებს და უფროსებს, სხვებზე შესტკივათ გული... მაგრამ მათ გვერდით არიან უკეთურები, რომელთაც რატომღაც არ მოსწონთ მათი საქციელი და ისინი ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ კეთილისმომქმედთ... ერთი სიტყვით აქ ყველაფერი ისევეა, როგორც ცხოვრებაში, მაგრამ უფრო ლამაზად და ამაღლებულად მოთხრობილი და დახატული...

ყოველივე ამაში უფრო დარწმუნდებით, როცა ბოლომდე წაიკითხავთ გ. პეტრიაშვილის მართლაც საინტერესო ზღაპრებსა და მოთხრობებს.

თამარ ჩხაიძე

## „მოთხრობები“

მწერალი ქალი თამარ ჩხაიძე მრავალი მოთხრობის ავტორია. მისი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება ჟურნალ „პიონერში“ და ისინი ნორჩი მკითხველის მოწონებას იმსახურებენ.

ახლახან გამომცემლობა „მერანის“ მიერ ცალკე წიგნად დასტამბულ კრებულში მწერალს 27 მოთხრობისათვის მოუყრია თავი. რითია ღირსშესანიშნავი ამ წიგნში მოცემული ნაწარმოებები? რა საერთო ნიშანი აერთიანებთ მათ?




მგონი, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთავარი გამაერთიანებელი ლოგიკური ღერძი ამ მოთხრობებისა ავტორის კეთილშობილურ ჩანაფიქრშია გამოხატული. ეს ჩანაფიქრი გახლავთ ამ მოთხრობებში გაბატონებული, ეგრეთ წოდებული „დედის კულტი“, საერთოდ უმცროსთა კეთილშობილური დამოკიდებულება უფროსების მიმართ.

მწერალი ესწრაფვის თავ-თავისი ადგილი მოუჩინოს ცხოვრებაში, ჩვენს თანამედროვე ყოფაში უმცროსსა და უფროსს. ავიღოთ, მაგალითად, მოთხრობა „დედის ხელი“, ანდა „მასწავლებელი.“ ორივეგან ახალგაზრდა გმირები ერთი შეხედვით, თავიანთი საქმეებით გართული, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ყმაწვილები, გარეშეთა, საქმეში ჩაუხედავ უფროსთა მრავალ კილვასა და გულისწყრომას იმსახურებენ თითქოს, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. ეს ახალგაზრდები გულში ღრმად ატარებენ უფროსთა სიყვარულსა და პატივისცემის უმაღლეს და უძვირფასეს გრძნობას.

ავტორის დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, განსხვავებით მრავალთაგან, მას სწამს თავისი ახალგაზრდა გმირებისა, სჯერა მათი ადამიანობის, განათლებულობისა და მაღალზნეობისა.

ამ მოთხრობებში არის აგრეთვე მოცემული მწერლის კეთილშობილური პოზიცია — შეებრძოლოს, წინ აღუდგეს ყოველგვარ მეშჩანობას, სულმდაბლობას (მოთხრობა „მაყვალა“), აგრეთვე მოცემულია სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის მთისა და ბარის სიყვარულის მაღალი განცდა („ჩემი სოფელი“) და სხვა...

ერთი სიტყვით, აღნიშნული წიგნი მრავალმხრივ დააინტერესებს ჩვენს ახალგაზრდა თაობას, ნორჩ მკითხველებს.

მირონ ხერგიანი.



### 3500 ცალი — და ყველა სხვადასხვა

დასავლეთ გერმანელმა ინჟინერმა ჰერბერტ ვილმანმა ქალაქ კელნში შექმნა ელექტრონათურების მუზეუმი. მან შეაგროვა, როგორც ყველაზე ძველი, ისე ყველაზე თანამედროვე ნათურები 45 ქვეყნისა.

უპატარავესი ნათურა ასანთის ღერის თავის ოდენაა. იგი განკუთვნილია ელექტრონული ხელსაწყოებისათვის. ყველაზე დიდი ზომის ნათურა 50 სმ დიამეტრისაა, მას კინოსტუდიებში იყენებენ.

### შექსპირი და კინო

შექსპირის კალამს ეკუთვნის ოცდაჩვიდმეტი დრამატული ნაწარმოები. ისინი მსოფლიოს თეატრებში ახლაც დიდი წარმატებით იდგმებიან, ხოლო ბევრი მათგანი ეკრანიზებულია.

კინორეჟისორები განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ „ჰამლეტს". ამ პიესის პირველი ეკრანიზება ფრანგმა რეჟისორმა კლემან მორისმა მოახდინა. ფილმში ერთ მთავარ როლს ასრულებდა თავის დროს სახელგანთქმული მსახიობი სარა ბერნარი. მას შემდეგ არაერთი ფილმი შექმნილა შექსპირის უკვდავი ტრაგედიის მიხედვით. „ჰამლეტის" საუკეთესო ეკრანიზაციად მიჩნეულია რეჟისორ ა. კოზინცევის ამავე სახელწოდების საბჭოთა ფილმი, რომელშიაც დანიის პრინცის როლს ასრულებს საყოველთაოდ ცნობილი მსახიობი ინოკენტი სმოკტუნოვსკი.

### ისინი აგროვებენ

პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „ისინი აგროვებენ", აქ გამოფენილია კერძო პირთა კოლექციები. მათ რომ ათვალიერებ, რწმუნდები, რომ თურმე შეიძლება ყველაფერი აგროვო: რესტორნის მენიუები, მეტროს ბილეთები, შაქრის ყუთები, თუთიყუშის ფიტულები, ქოქოსის კაკლები და აირწინაღებიც კი.

არის ისეთი კოლექციებიც, რომლებიც აუხდენელ ოცნებას განასახიერებენ, მაგალითად, ერთი მანდილოსანი, რომელიც პარიზს არასოდეს გასცილებია, მსოფლიოს პლაჟების ქვიშის ნიმუშებს აგროვებს.

### ადგილები გაცვალეს

ამერიკელმა მკვლევარებმა ამას წინათ არაჩვეულებრივი ექსპერიმენტი ჩაატარეს: მაიმუნების ნაკრძალში დადგეს გალია, რომელშიც მოთავსებული იყო ხუთი მოხალისე კაცი. მაიმუნები ზუსტად ისევე იქცეოდნენ, როგორც იქცევიან ხოლმე ზოოპარკის დამთვალიერებლები: გალიას გარს ეხვეოდნენ და მასში მყოფთ საჭმელს სთავაზობდნენ.

### პოეტური პროგნოზები

ამ ცოტა ხნის წინათ შვეციის ხელოვნების აკადემიამ სტოკჰოლმის მეტეოროლოგიური პროგნოზების ინსტიტუტს მიანიჭა სპეციალური პრემია. ამ პრემიას აკადემია ყოველწლიურად ანიჭებს [illegible] ისა და ფანტაზიის დარგში [illegible]ვის". აკადემიის ჟიურიმ განაცხადა, რომ შვედმა მეტეოროლოგებმა გასულ წელს „გამოავლინეს არაჩვეულებრივი პოეტური ფანტაზია, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა სინამდვილესთან".

### ოქროს მეხი

ერთი ძველი ლეგენდა ირწმუნება, რომ იმ ადგილას, სადაც მეხი ეცემა, მიწაზე ცვივა მეხის ნამსხვრევები — ოქროს ზოდები და მონეტები. ამას წინათ ეს ზღაპრული ფაქტი მართლაც „დადასტურდა". ბულგარეთის ქალაქ რუდოზემის მახლობლად მეხი დაეცა ბებერ ხეს და შუაზე გადატეხა. იმავ წამს ხიდან ნამდვილი ოქროს წვიმა წამოვიდა. თურმე ოდესღაც ხის ფუღუროში დაუმალავათ XVII საუკუნის თურქული ოქროს ფულით პირამდე გავსებული თიხის ქურჭელი...





●

ვიდრე შპალერსააკრავდე, კედელს ჭერის შეღებვის დროს ჩამონადენი კირის თეთრი ხსნარი მოაცილე.

●

შპალერის გაკვრისას ფანჯრები დაკეტილი უნდა გქონდეს. ოთახი მხოლოდ მერე გაანიავე, როცა შპალერი სრულიად გაშრება.

●

შპალერის გაკვრა ფანჯრიდან დაიწყე და კედელს ზოლი ისე აღარ დააჩნდება. ფანჯრიდან მარჯვენა კედელზე გასაკრავს, მარცხენა პირი ჩამოჭერი, მარცხენა კედელზე გასაკრავს კი — მარჯვენა.

●

კირის ხსნარით ჭერის შეფეთქვისას გახსოვდეს, რომ ჭერის ზედაპირი ოდნავ სველი უნდა იყოს. ხოლო თვით ხსნარი უფრო ხარისხიანი იქნება თუ შიგ სუფრის მარილს შეურევ (50-100 გრამი 10 ლიტრ წყალზე).

●

დაიმახსოვრე რამდენიმე რჩევა, რომელიც ზეთოვანი საღებავის ხმარებისას გამოგადგება:

●

კედელში შედგმული განჯინები ან კიდულა კარადები ჯერ გარედან არ შეღებო. უმჯობესია, თუ პირველად ძნელად მისადგომ შიგა ნაწილების შეღებვას მოილევ.

●

თუ გინდა, რომ შენაღებს ფუნჯის კვალი არ დააჩნდეს, კედლის ან კარის შეღებვისას საღებავი ზემოდან ქვემოთ წაუსვი.

●

ღებვას რომ დაამთავრებ, ფუნჯები საგულდაგულოდ გაწმინდე და გააშრე. ეს ყველა შემთხვევაში კარგია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ კაზეინის ან სილიკატური ხსნარით სარგებლობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო კონკურსის „პიონერთა სამყაროს" დებულება

საკავშირო კონკურსი „პიონერთა სამყარო" ტარდება საყმაწვილო ლიტერატურაში პიონერული თემატიკის გაძლიერების მიზნით, იმისათვის, რომ შეიქმნას პიონერული წინამძღოლების თვალსაჩინო სახეები, უჩვენონ ბავშვების ცხოვრება პიონერულ ორგანიზაციაში.

საკონკურსოდ წარმოდგენილმა ნაწარმოებებმა ღრმად და მრავალმხრივად უნდა უჩვენონ ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცხოვრება და მოღვაწეობა, პარტიის ზრუნვა მოზარდი თაობის აღზრდაზე, ხალხთა შორის მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური პარტიის საქმისადმი უანგარო ერთგულების სულისკვეთებით.

კონკურსი „პიონერთა სამყარო" ტარდება 1976 წლის 20 იანვრიდან — 1 სექტემბრამდე. გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" რედაქცია ღებულობს მანქანაზე გადაბეჭდილ მოთხრობებს, არა უმეტეს 7 ნაბეჭდი გვერდისა. მოთხრობები წარდგენილი უნდა იქნას რუსულ ენაზე.

კონკურსზე გაგზავნილ ხელნაწერებს რეცენზია არ გაუკეთდებათ და არც ავტორებს დაუბრუნდებათ.

კონკურსში გამარჯვებულებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

— ერთი პირველი — 300 მან.
— ერთი მეორე — 200 მან.
— ერთი მესამე — 100 მან.
— რვა წამახალისებელი — 50 მან.

ყველა პრემირებული და გამორჩეული მოთხრობის ავტორები ჯილდოვდებიან აგრეთვე საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სპეციალური დიპლომებითა და გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" რედაქციის საჩუქრით.

კონკურსზე „პიონერთა სამყარო" წარმოდგენილი ნაწარმოებების განხილვა ევალება კონკურსის ჟიურის, რომლის შემადგენლობაში შედიან გამოჩენილი საბავშვო მწერლები, ხელმძღვანელი კომკავშირული და პიონერული მუშაკები.

კონკურსის ჟიურის მუშაობის შედეგები დასამტკიცებლად წარედგინება საკ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1976 წლის 1 ოქტომბრამდე.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება გაზეთ „პიონერსკაია პრავდაში" 1976 წლის ოქტომბერში.

## სარჩევი

**ქავთარია ბ.** — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის (წერილი) . . . . . . . 1
**მერაბიშვილი ე.** — ტრამალი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . . 3
**მრევლიშვილი მ.** — სახლი ულიანოვსკში (ლექსი) 10
**კლდიაშვილი ს.** — ზურია (მოთხრობა) . . . 11
**ფაილოძე ნ.** — ჩვენს გვერდით კომუნისტები არიან (ნარკვევი) . . . . . . . 15
ისინი ჩვენი კორესპონდენტები იყვნენ — **ლ. სულაბერიძე** . . . . . 16
„როგორ ჩაიგდო ადამიანმა ხელში ცეცხლი" (ზღაპარი, თარგმნა **თ. ჯავახიშვილმა**) 19
ჩვენ და თეატრი . . . . . . 20
ჩვენი უცხოელი თანატოლები . . . 21
აისი . . . . . . . . . 24
ინგლისური ზღაპარი — „ჯადოსნური ბეჭედი" (თარგმნა ქ. ვარდიაშვილმა) . . 26
**პეგეჰკორია არნ.** — ყველაზე გონიერი ცხოველები (წერილი) . . . . . . . 27
ახალი წიგნები . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . 31
საზრიანთა ხელში . . . . . . 31
ცხრაკლიტული . . . გარეკანის . 3

გარეკანის პირველ გვერდზე — **ვ. ბორისენკოს** ფოტოეტიუდი.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 16/II-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV-76 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 607. ტირ. 145.550. უე 00711.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



© „პიონერი", 1976 წ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი





**თარაზულად:** 1. მატერიალიზმის მიმდევარი, ანუ? 5. ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც შექმნა შამილმა; 6. მოწმობა უმაღლესი განათლების მიღების შესახებ; 10. თეატრში მაყურებელთათვის განკუთვნილი ადგილი; 11. ქიმიური ელემენტი; 12. მურა ქვანახშირი დაბალი ხარისხისა; 14. სახელმწიფო აზიაში; 16. წერის უნარის დაკარგვა; 18. კუდიანი ვარსკვლავი, ანუ?; 20. ფრანგი ფიზიკოსი; 23. მიწის სათხრელი მანქანა; 24. მტაცებელი ფრინველი; 26. სასკოლო საგანი; 27. საგნების ერთობლიობა, რომლებიც, რომელიმე დაწესებულების ქონებას შეადგენს; 28. რისიმე მთავარი აზრი; 29. სატყორცნი იარაღი, რომელსაც ხმარობენ ავსტრალიის ტომები; 30. მდინარე აზიაში; 34. მუიფე ლითონი მოლურჯო ფერისა; 35. კონტინენტი, ანუ?; 36. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 37. უდაბნოს ცხოველი; 38. რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი; 40. მუდმივი მყიდველი, შემკვეთი, ანუ? 43. ვისიმე რწმუნებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 47. ბაქტერია, ანუ? 48. ზოგიერთი პროფესიის პირთა გაერთიანება; 49. ფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინვა; 50. ნელა, დინჯად, ზომიერად შესრულებული მუსიკალური პიესა; 51. დაწესებულების მუშაობის გამორკვევა; 52. კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია.

**შვეულად:** 1. მტაცებელი ფრინველი; 2. ქადრაკში ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა; 3. ჰომეროსის პოემა; 4. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება; 5. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 7. თვე; 8. გამჭვირვალე ოპტიკური მინა; 9. კამფეტის სახეობა; 13. 15 ნულიანი რიცხვი; 15. ნავსადგურის მუშამტვირთავი; 17. სუბტროპიკული მცენარე; 19. საბერძნეთის დედაქალაქი; 20. ერთუჯრედიანი ცხოველი; 21. თვრამეტნულიანი რიცხვი; 22. ქალაქი სარატოვის ოლქში; 25. ჯარების გადასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე; 30. სითხის საზომი ერთეული; 31. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული განცხადება სპექტაკლის ან კონცერტის შესახებ; 32. მწვავე სუნის მქონე უფერული გაზი; 33. ოთახი საავადმყოფოში; 39. მინერალური სალებავი სხვადასხვა ფერისა; 40. ტყავისმაგვარი მკვრივი ქსოვილი; 41. მდინარე აზიაში; 42. ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის საზეიმოდ აღნიშვნა; 43. წარჩინების ნიშანი; 44. დეკორაციული ელემენტების ერთობლიობა, ანუ? 45. ცხოველი; 46. ხვიარა მცენარე.

მიხეილ ხიდეშელი,
თბილისის 84-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1

უკან მივდევ თესლის მთესველს,
ხნულში მარცვალს მიწით ვფარავ
რომ ჯეჯილმა იბიბინოს
კაცის გულის გასახარად.

2

დამყავს გემები ზღვაში,
თვითმფრინავს ვაფრენ ცაში,
უჩემოდ ვერ იქროლებს
ვერცერთი რკინის რაში.

ალ. ნამორაძე.

## ამოცანა

ორი თანაბარ რიცხვის ნამრავლი
მათ ჯამზე ზუსტად სამჯერ მეტია,
იმ რიცხვებს დიდი ფიქრის გარეშე
ალბათ ბავშვები უცებ მეტყვიან.

ზ. ამირანაშვილი.

### პასუხი № 8-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

#### გამოცანები

ბამბა. ყურები. ბულბული. 258 ტ. ლითონი, რიცხვი უნდა შეაბრუნო.

#### საიდუმლო ქოხი

ბოძზე ეწერა ციფრები: 16, 61 106; მანქანა საათში 45 კმ სისწრაფით მიჰქროდა.

#### თავსატეხი

| | | |
|---|---|---|
| 8 | 1 | 6 |
| 3 | 5 | 7 |
| 4 | 9 | 2 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

